ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სტუდენტური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

(ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი)

სარედაქციო კოლეგია:

ომიკო ეჯიბია (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი)

ნიკოლოზ გოგეშვილი (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი)

რატი რამიშვილი (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი)

ელ-ფოსტა: aghmosavleti@tsu.ge

თბილისი

2026 (ივლის-აგვისტო)

სარჩევი

ნატო ბუქულაშვილი 3

ჰოლოკოსტი, როგორც ფილოსოფიური და თეოლოგიური პრობლემა 3

რატი რამიშვილი 12

ნავთობი და „ისლამური სახელმწიფო“ (2014-2019 წლები) 12

ნინო კაპანაძე 23

ნავთობის კონტროლის საკითხი ერაყის ომში გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გადაკვეთა 23

ნიკოლოზ გოგეშვილი 37

ასუკას ეპოქის სამართლებრივი რევოლუცია 37

ეთერ ლომიძე 50

კატა-თაგვობანა ჩინურად: როგორ უპირისპირდება უბრალო მიმი სახელმწიფო ცენზურას 50

თეკლა სიხარულიძე 56

არავერბალური კომუნიკაცია და მისი როლი უცხო ენის შესწავლაში 56

ნატო ბუქულაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ებრაისტიკის საბაკალავრო პროგრამა

ჰოლოკოსტი, როგორც ფილოსოფიური და თეოლოგიური პრობლემა

აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება ჰოლოკოსტის თეოლოგიურ, ფილოსოფიურ და მხატვრულ გააზრებას ებრაულ კულტურაში. სტატიაში ჰოლოკოსტი განხილულია არა როგორც უბრალოდ ისტორიული კატასტროფა, არამედ ცივილიზაციური რღვევა, რომელმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ტრადიციული თეოლოგიური წარმოდგენები დახელოვნების ეთიკური საზღვრები. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია ღმერთის დუმილის კონცეფცია და ტრავმული გამოცდილების გადმოცემის სირთულეები ებრაულ ფილოსოფიურ და რელიგიურ აზროვნებაში. ყურადღება ეთმობა ჰოლოკოსტის მხატვრულ და ლიტერატურულ რეფლექსიებს, თუ როგორ აისახა ტკივილი ხელოვნებაში.

საკვანძო სიტყვები: ჰოლოკოსტი, თეოდიცეა, დაშლილი ენა, ღმერთის დუმილი.

ჰოლოკოსტი XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ტრავმულ მოვლენად რჩება, ეს არ იყო მხოლოდ მილიონობით ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, არამედ ისტორიული ფაქტი, რომელმაც საფუძვლიანად შეცვალა ადამიანის თვითგაგება, ღმერთის აღქმა და ეთიკური კატეგორიები. მასობრივმა გენოციდმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა კაცობრიობის პროგრესი და მორალური რაციონალურობის იდეა. ჰოლოკოსტის გახსენება აუცილებელია, არა მხოლოდ მის მსხვერპლთა პატივსაცემად, არამედ მომავლის დასაცავადაც. იგი გვაიძულებს, ისტორია აღარ აღვიქვათ, როგორც დასრულებული წარსული, არამედ როგორც ტრავმული მემკვიდრეობა, რომელიც მუდმივად მოქმედებს აწმყოზე. ამ გაგებით, ჰოლოკოსტის მეხსიერება იქცევა არა მხოლოდ ისტორიულ ვალდებულებად, არამედ ეთიკურ ორიენტირადაც, რომელიც თანამედროვე სამყაროში ადამიანის ღირსებისა და სიცოცხლის დაუცველობას მუდმივად გვახსენებს.

გარდა სხვა მრავალი მიზეზისა, ჰოლოკოსტის მთავარი უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი, ისტორიის მანძილზე განხორციელებული სხვა მასობრივი ძალადობის შემთხვევებისგან განსხვავებით, დაიგეგმა და განხორციელდა გონებრივად და ტექნოლოგიურად განვითარებულ საზოგადოებაში. ჰოლოკოსტი ხშირად განიხილება, როგორც ცივილიზაციური რღვევა, რადგან იგი წარმოიშვა არა ცივილიზაციის გარეთ, არამედ მის შიგნით. სამეცნიერო ცოდნა, სამართლებრივი სისტემა, ტექნოლოგიური მიღწევები გამოყენებულ იქნა ადამიანების სისტემატიური განადგურებისთვის, მოვლენამ ადამიანი სტატისტიკურ ერთეულად აქცია. ამ პროცესში ბოროტებამ დაკარგა თავისი ტრადიციული, „დემონური“ სახე და მიიღო ნორმალიზებული, ყოველდღიური ფორმა. ჰანა არენდტის მიერ შემუშავებული „ბოროტების ბანალურობის“ კონცეფცია სწორედ ამ ფენომენს აღწერს, ავტორის მიხედვით, ბოროტება ყოველთვის არ მოდის სიძულვილით ან სასტიკი განზრახვით, არამედ შეიძლება განხორციელდეს ჩვეულებრივი ადამიანების მიერ, რომლებიც უბრალოდ ასრულებენ დავალებებს და არ გააჩნიათ კრიტიკული აზროვნების უნარი (Arendt, 2006: 287–288).

ზიგმუნდ ბაუმანის მიხედვით, ჰოლოკოსტი, მოდერნობის ლოგიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, კატასტროფაა. რაციონალურმა ორგანიზაციამ და ეფექტიანობაზე ორიენტირებულმა სისტემამ შექმნა პირობები, სადაც ადამიანის სიცოცხლემ დაკარგა უნიკალურობა და ღირებულება. როდესაც ქმედებები ფასდება მხოლოდ მათი ეფექტურობის ან „წარმატებულობის“ მიხედვით, მორალური კითხვები შეიძლება უკანა პლანზე გადაიწიოს. ამგვარად, ჩვეულებრივი ადამიანები შეიძლება უკიდურესი ბოროტების ნაწილად იქცნენ ისე, რომ საკუთარ თავს დამნაშავეებად არ აღიქვამდნენ (Bauman, 1989: 15–16, 24–27).

ჰოლოკოსტმა მკაფიოდ აჩვენა, რომ ინტელექტუალური და ტექნოლოგიური პროგრესი ავტომატურად არ ნიშნავს მორალურ განვითარებას. განათლება და

მეცნიერება ვერ იქცა ბოროტების შემაკავებელ ძალად. პირიქით, სწორედ „რაციონალურმა ადამიანმა“ შეძლო უკიდურესი სისასტიკის განხორციელება. კლასიკურმა ეთიკურმა სისტემებმა ვერ შეძლეს პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ როგორ იქცა მორალურად ჩამოყალიბებული და განვითარებული ადამიანი მასობრივი მკვლელობის მონაწილედ. ჰოლოკოსტის შემდეგ ეთიკა ვეღარ ეფუძნება მხოლოდ აბსტრაქტულ წესებსა და უნივერსალურ პრინციპებს. აუცილებელი ხდება ეთიკის გადააზრება პასუხისმგებლობის, სხვისი ტანჯვისა და კონკრეტული ადამიანის წინაშე ვალდებულების კონტექსტში.

ჰოლოკოსტი განსაკუთრებით მწვავე ფორმით აყენებს თეოდიცეის პრობლემას, როგორ შეიძლება იარსებოს ყოვლადმოწყალე და ყოვლისშემძლე ღმერთმა ასეთ უკიდურეს ბოროტებასთან ერთად. აქ საუბარი არ არის ღმერთის არსებობის დამტკიცების ან უარყოფის შესახებ, არამედ ფაქტზე, რომ კლასიკური თეოლოგიური პასუხები ჰოლოკოსტის შემდეგ ძველინდებურად აღარ მუშაობს. ტრადიციული თეოდიცეა ტანჯვას განმარტავდა როგორც ღვთის სასჯელს, გამოცდას ან ღვთიური გეგმის ნაწილს. თუმცა ჰოლოკოსტის რეალობაში ეს ახსნები მორალურად მიუღებლად გამოიყურება. ექვსი მილიონი ადამიანის, მათ შორის მილიონობით ბავშვის, სისტემური განადგურება ვერ იქნება ვერც „გაკვეთილი“ და ვერც „გამოსაცდელი ეტაპი’’. ასეთი ახსნები პასუხისმგებლობას მთლიანად აკისრებს მსხვერპლს.

ელია ვიზელის ტექსტებში ღმერთის მიმართ პროტესტი სწორედ ამ მორალური შეუთავსებლობიდან გამომდინარეობს (Wiesel, 2006: 66–68).

ჰანს იონასი კი ამტკიცებს, რომ ჰოლოკოსტის შემდეგ ღმერთის ყოვლისშემძლეობის იდეა უნდა გადაიხედოს და ღმერთი უნდა განვიხილოთ როგორც ის, ვინც ისტორიულ პროცესში საკუთარ ძალაუფლებაზე ნაწილობრივ უარს ამბობს. კითხვა „სად იყო ღმერთი?’’ ჰოლოკოსტის კონტექსტში აღარ არის უბრალო რიტორიკული მიმართვა. იგი გამოხატავს ღრმა ეგზისტენციალურ ტრავმას და ადამიანის შინაგან სიცარიელეს. ეს არის კითხვა, რომელსაც საბოლოო და დამამშვიდებელი პასუხი არ გააჩნია. ზოგი ინტერპრეტაციის მიხედვით, ღმერთი დუმს; სხვების მიხედვით, იგი იტანჯება ადამიანთან ერთად; ხოლო მესამე ხედვით, ღმერთი აღარ ერევა ისტორიაში და ადამიანს აბარებს სრულ პასუხისმგებლობას. ღვთის დუმილი შეიძლება გაგებულ იქნას როგორც მისი არყოფნა, ტანჯვის ფორმა ან ადამიანის თავისუფლების მძიმე საფასური (Jonas, 1987: 25–30).

ჰოლოკოსტის შემდეგ ებრაულმა რელიგიურმა აზროვნებამ ღრმა კრიზისი განიცადა. ზოგი რაბინული ავტორიტეტი ცდილობდა ტრადიციული თეოლოგიური ჩარჩოების შენარჩუნებას, თუმცა სხვებმა აღიარეს, რომ ძველი ენა და კატეგორიები აღარ არის საკმარისი. ლოცვა იქცა პროტესტად, ხოლო ღმერთთან მიმართება – კამათად, რაც იობის ტრადიციას უპირისპირებს აღნიშნულ

გამოცდილებას. ჰოლოკოსტის შემდეგ რწმენა აღარ არის სიმშვიდისა და უსაფრთხოების წყარო. ზოგმა მთლიანად დაკარგა რწმენა, ზოგმა კი შეინარჩუნა იგი, თუმცა შეცვლილ, ტკივილიან ფორმაში. ამ კონტექსტში, მარტინ ბუბერის „მე–შენ“ ურთიერთობა და ემანუელ ლევინასის ეთიკა, რომელიც ღმერთის ნაცვლად სხვის წინაშე პასუხისმგებლობას უსვამს ხაზს, ჰოლოკოსტის შემდგომ აზროვნებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ზოგიერთ რაბინს შორის გავრცელებული იყო ინტერპრეტაციები, რომლებიც მოვლენას ღმერთის სასჯელის კონტექსტში განიხილავდნენ, თითქოს ებრაელების ჩადენილ ცოდვებზე პასუხად წარმოაჩენდნენ ისტორიულ ტრაგედიას. მსგავსი მოსაზრებები, მიუხედავად მეტაფორული ან თეოლოგიური საფუძვლისა, საშიშია რეალობის გაგების თვალსაზრისით, რადგან იგი ნაცისტების წისქვილზე ასხამს წყალს. ვერანაირი რელიგიური ახსნა ვერ ამართლებს ჩადენილ მასობრივი მკვლელობებსა და სისტემურ დევნას. შედეგად, მსგავსი ინტერპრეტაციები შესაძლოა მივიჩნიოთ ისტორიული სიმართლის დამახინჯებად.

ჰოლოკოსტის შემდეგ პრობლემად აღარ რჩება მხოლოდ კითხვა — რა მოხდა, არამედ ისიც, შესაძლებელია თუ არა ამაზე ლაპარაკი. ტრავმის მასშტაბმა თეოლოგია და ეთიკური აზროვნება კრიზისის წინაშე დააყენა. ღმერთზე საუბარი, სიტყვების გამოყენება და მორალური პოზიციის ფორმირება ერთობ პრობლემატური გახდა. ჰოლოკოსტის შემდეგ დუმილი არ არის უბრალოდ უძლურება და იგი არ ნიშნავს პასუხისმგებლობისგან გაქცევას ან ისტორიის უარყოფას. პირიქით, იგი შეიძლება აღიქმებოდეს როგორც კრიტიკული სიფხიზლის ფორმა, რომელიც მუდმივად გვახსენებს სიტყვების შეზღუდულობასა და მორალური მსჯელობის არამდგრადობას. დუმილი აქ ფუნქციონირებს როგორც შუალედური სივრცე მეტყველებასა და სიჩუმეს შორის, სადაც აზროვნება არ წყდება. სწორედ ამ სივრცეში იძენს ფორმას ჰოლოკოსტის შემდგომი ეთიკა - ეთიკა, რომელიც აღარ ეძებს საბოლოო პასუხებს, არამედ ინარჩუნებს ღიაობას ტრავმის წინაშე. ებრაელი მოაზროვნე ანდრე ნეერი ჰოლოკოსტს (შოას) განიხილავს არა მხოლოდ როგორც ისტორიულ ან მორალურ კატასტროფას, არამედ როგორც თეოლოგიური ენის კრიზისს, რომელიც ფუნდამენტურად ცვლის ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობის ტრადიციულ გაგებას.

ნეერი ამტკიცებს, რომ შოას გამოცდილება აღინიშნება უპრეცედენტო მოვლენით - ღვთის სიჩუმით, რომელიც აღარ ექვემდებარება ბიბლიურ ინტერპრეტაციულ ჩარჩოებს. „ღვთის დუმილი” ნეერთან არ ნიშნავს ღვთის უარყოფას ან რწმენის შეუძლებლობას, თუმცა ის ხაზს უსვამს, რომ შოას შემდეგ რწმენა აღარ შეიძლება ეფუძნებოდეს ძველ კატეგორიებს. ამავე დროს, ნეერი პასუხისმგებლობის ახალ განზომილებას უსვამს ხაზს: თუ ღმერთი დუმს, სიტყვის ტვირთი ადამიანზე გადადის. შოას შემდეგ მეხსიერება, მოწმობა და მეტყველება აღარ არის მხოლოდ ისტორიული აქტები; ისინი ეთიკურ ვალდებულებად იქცევა.

ამგვარად, ნეერისთვის შოას თეოლოგია არ გვთავაზობს პასუხებს, არამედ გვავალდებულებს მუდმივ სიფხიზლესა და პასუხისმგებლობას ადამიანური ბოროტების წინაშე (Neher, 1970: 153–160).

ჰოლოკოსტის კონტექსტში დუმილი აღარ შეიძლება განიმარტოს მხოლოდ როგორც არაფრის თქმა. მასობრივი განადგურების შემდეგ დუმილი თავად იქცევა თეოლოგიურ ენად, ენად, რომელიც ცდილობს არ გაამართლოს ტანჯვა და არ გადააქციოს ღმერთი ბოროტების თანამონაწილედ. ღმერთის დუმილი მრავალგვარად შეიძლება იქნეს გააზრებული. დუმილი ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური ხედვით, აღნიშნავს ღმერთის არყოფნას ან მის მიერ სამყაროს მიტოვებას, რაც საფუძვლიანად არღვევს ტრადიციულ თეისტურ წარმოდგენებს ღვთის ყოვლისშემძლეობაზე. ასეთი ინტერპრეტაცია ახლოს დგას „ღვთის სიკვდილის თეოლოგიასთან" და ეგზისტენციალურ ათეიზმთან, თუმცა იგი მთლიანად ვერ ხსნის იმ ფაქტს, რომ ტრავმის შემდეგაც რჩება რელიგიური მეტყველებისა და რწმენის ნარჩენები. სხვა თეოლოგიური ხედვა ღმერთის დუმილს განიხილავს როგორც მის უარს ძალაუფლებაზე. ჰანს იონასის მიხედვით, ჰოლოკოსტის შემდეგ ღმერთი აღარ შეიძლება ჩაითვალოს ყოვლისშემძლე ძალად, რომელიც ისტორიას მართავს; პირიქით, ღმერთი „უარს ამბობს ძალაზე", რათა ადამიანი გახდეს თავისუფალი საკუთარ არჩევანში. როგორც იონასი წერს, ღმერთმა „თავისი ყოვლისშემძლეობა მსხვერპლად შესწირა სამყაროს არსებობას" (Jonas, 1987: 26).

მესამე ინტერპრეტაციით, ღმერთის დუმილი შეიძლება გაანალიზდეს, როგორც თანაზიარი ტანჯვა. ამ შემთხვევაში ღმერთი არ დგას ისტორიის მიღმა, არამედ იტანჯება ადამიანთან ერთად, თუმცა მისი ტანჯვა სიტყვებით გამოუთქმელია. სწორედ ამიტომ, დუმილი აქ არ არის გულგრილობა, არამედ ტკივილის გაზიარება. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ებრაული აპოფატიკური თეოლოგია, რომელის მიხედვითაც ღმერთის შეფასება სიტყვით შეუძლებელია, რადგან იგი აღემატება ნებისმიერ განსაზღვრებას. აპოფატიკური ტრადიცია ამტკიცებს, რომ რაც უფრო ტრავმულია გამოცდილება, მით ნაკლებად ადეკვატურია მისი აღწერა. აქვე აღსანიშნავია ესთერის გრაგნილი, მასში ღმერთის სახელის სრული არ ხსენება ბიბლიურ კანონსა და თეოლოგიურ დისკურსში უნიკალურ ფენომენს წარმოადგენს. აღნიშნული „ღვთის დუმილი" ხშირად ინტერპრეტირდება როგორც ფარული განგების ნარატიული ფორმა. შესაბამისად, ღმერთის დუმილი არა უარყოფას, არამედ მისი დამალული და ირიბი მოქმედების თეოლოგიურ მოდელს გამოხატავს. ძირითადი კითხვა ღია რჩება: არის თუ არა დუმილი ღმერთის დაკარგვა, თუ, პირიქით, მისი ერთადერთი შესაძლო გამოვლენა ტრავმის შემდეგ? პასუხის აბსოლუტიზაცია აქ შეუძლებელია, რადგან თავად დუმილი უარს ამბობს საბოლოო განმარტებაზე.

ემანუელ ლევინასის ფილოსოფია ჰოლოკოსტის შემდეგ ეთიკური აზროვნების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ლევინასისთვის

ღმერთი აღარ ჩნდება მეტაფიზიკურ სისტემებში ან აბსტრაქტულ თეოლოგიურ განსაზღვრებებში; იგი ვლინდება სხვა ადამიანის სახეში. ლევინასის მიხედვით, ეთიკა არის „პირველი ფილოსოფია". პასუხისმგებლობა სხვის წინაშე წინ უსწრებს ყოველ თეორიას, რწმენას და მეტყველებას. ტრავმის პირობებში დუმილი ლევინასისთვის არ ნიშნავს გაქცევას, არამედ მოსმენას. ეს არის მზადყოფნა ვიყოთ სხვის ტკივილთან, ახსნისა და გამართლების გარეშე. ასეთ ეთიკაში სიტყვა მეორეხარისხოვანია, პასუხისმგებლობასთან შედარებით. ლევინასის აზროვნება ამტკიცებს, რომ ჰოლოკოსტის შემდეგ ეთიკა იწყება არა ღმერთის დაცვით ან გამართლებით, არამედ მსხვერპლის პირისპირ დგომით. სწორედ აქ იძენს დუმილი თავის საბოლოო მნიშვნელობას - როგორც ეთიკური ყურადღება სხვისი ტანჯვის მიმართ, მაშინ, როდესაც ღმერთი დუმს (Levinas, 1985: 95–99).

ჰოლოკოსტის შემდეგ ხელოვნება დგას ერთ-ერთი ყველაზე რთული პარადოქსის წინაშე: როგორ შეიძლება წარმოვაჩინოთ უკიდურესი ტანჯვა ისე, რომ არ დაიკარგოს მსხვერპლთა მიმართ პატივისცემა. ხელოვნება ჰოლოკოსტის კონტექსტში აღარ არის მხოლოდ სივრცე თვითგამოხატვისთვის, არამედ ეთიკური პასუხისმგებლობის ფორმა. საკითხი აღარ არის მხოლოდ ესთეტიკური, არამედ მორალური. ამავე დროს, ჰოლოკოსტის კონტექსტში ხელოვნების სრულ უარყოფასაც აქვს პრობლემური მხარე. თუ ტკივილი საერთოდ არ მიიღებს გამოხატვის ფორმას, იგი შეიძლება გაქრეს საჯარო ცნობიერებიდან და ისტორიული პასუხისმგებლობის სივრციდან. ამ გაგებით, ხელოვნება შეიძლება იქცეს არა ტრავმის ესთეტიზაციის ინსტრუმენტად, არამედ მოწმის ფუნქციის მატარებელ ფორმად. სივრცედ, სადაც ტანჯვა არ გადაიქცევა სანახაობად, არამედ ინარჩუნებს საკუთარ წინააღმდეგობრივ და შეურიგებელ ხასიათს. სწორედ ამ დაძაბულობაში, გამოხატვის აუცილებლობასა და მისი ეთიკური საზღვრების მუდმივ გადამოწმებას შორის, ჩამოყალიბდა ჰოლოკოსტის შემდგომი ესთეტიკის სპეციფიკა, სადაც ხელოვნება ვეღარ იქნება „უმანკო", მაგრამ მაინც რჩება მეხსიერებისა და პასუხისმგებლობის ერთ-ერთ შესაძლო მატარებლად.

ჰოლოკოსტის შემდეგ ლიტერატურა აღარ ფუნქციონირებს, როგორც თავისუფალი სივრცე. იგი გარდაიქმნება მოწმის ენად, სადაც ავტორი საკუთარ თავს აღიქვამს არა როგორც შემოქმედს, არამედ როგორც პასუხისმგებელ პირს მეხსიერების შენახვაზე. პაულ ცელანის პოეზია წარმოადგენს დაშლილი ენის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო მაგალითს. მისი ტექსტები ფრაგმენტულია, სიჩუმეებითა და პაუზებით სავსე. ცელანისთვის ენა თავად არის ტრავმირებული, ამიტომ პოეზია აღარ ცდილობს მთლიანობის შექმნას. როგორც თავად წერს - ,,პოემა არის შეხვედრა". დუმილი მის პოეზიაში ტექსტის ნაწილად იქცევა და არა სიცარიელედ (Celan, 2003: 49–50).

ელი ვიზელის ტექსტებში ცენტრალურ მნიშვნელობას იძენს მოწმის პოზიცია. მისი აზრით, მეხსიერება არის არა არჩევანი, არამედ მოვალეობა. „ვინც დაივიწყებს, მეორედ კლავს მსხვერპლს" - ეს ეთიკური ვალდებულება განსაზღვრავს ვიზელის

ნარატივს. აქ ლიტერატურა არ ცდილობს ესთეტიკურ სრულყოფილებას; იგი მიმართულია პასუხისმგებლობისკენ და მოგონების შენარჩუნებისკენ. პრიმო ლევის შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რაციონალურ, თითქმის მეცნიერულ თხრობას. მისი მინიმალისტური სტილი ეწინააღმდეგება ემოციურ პათოსს და ცდილობს ტკივილის შესახებ საუბარს სრული სიცხადითა და სიზუსტით. სამივე ავტორის შემთხვევაში მნიშვნელოვანი ხდება დუმილის ინტერვალები ტექსტში, სტილისტური სიმკაცრე და ავტორის თვითშეზღუდვა. აქ ავტორი არის მოწმე და არა ტრაგედიის ესთეტიზატორი (Wiesel, 2006: 15; Levi, 2000: 9–10).

სურ. 1. კადრი ს. სპილბერგის ფილმიდან „შინდლერის სია“ (1993)

ვიზუალური ხელოვნება და კინო ჰოლოკოსტის კონტექსტში განსაკუთრებულად სენსიტიურ სივრცეს ქმნის. გამოსახულება ხშირად ამბობს იმას, რასაც სიტყვა ვერ ამბობს, თუმცა ამავე დროს მას აქვს რეალობის გაყალბების პოტენციალი. თანამედროვე მეხსიერების ესთეტიკა ხშირად ეფუძნება სიმბოლოებს, ცარიელ სივრცეებსა და მინიმალისტურ გამოსახულებებს. ბევრ შემთხვევაში ტკივილის პირდაპირი ჩვენება იცვლება მინიშნებით, რაც მაყურებელს აძლევს ინტერპრეტაციის შექმნასა და თანაგანცდისთვის სივრცეს. მინიმალიზმი ვიზუალურ ხელოვნებაში შეიძლება ჩაითვალოს ეთიკურ არჩევანად. იგი უარს ამბობს შოკზე და სანახაობაზე. როგორც კინოს თეორიაში ხშირად აღინიშნება, „რაც არ ჩანს, ხშირად უფრო მძიმეა, ვიდრე ის, რაც ნაჩვენებია“. ჰოლოკოსტის შემდგომ ხელოვნებაში კითხვა - უნდა ვაჩვენოთ თუ არა ტკივილი პირდაპირ? არ წყდება, მაგრამ სწორედ ამ გაურკვევლობაში ყალიბდება ეთიკური ესთეტიკა, რომელიც ცდილობს არ უღალატოს ტკივილს და არ გადააქციოს იგი სანახაობად.

შეჯამებისთვის, მოცემულ სტატიაში ჰოლოკოსტი გაანალიზებულია არა მხოლოდ როგორც ისტორიული ტრაგედია, არამედ როგორც საზღვრული მოვლენა, რომელმაც ფუნდამენტურად შეცვალა ფილოსოფიური, თეოლოგიური, ეთიკური და კულტურული აზროვნება. კვლევის მთავარი მიზანი იყო იმის ჩვენება, რომ ჰოლოკოსტი არ ეკუთვნის მხოლოდ წარსულს - ის აგრძელებს არსებობას ენის კრიზისში, ღმერთის დუმილსა და ხელოვნების ეთიკურ პარადოქსში. შესაძლოა ჰოლოკოსტს არ ჰქონდეს საბოლოო ახსნა, მაგრამ მას აქვს მუდმივი მოთხოვნა - არ დავივიწყოთ, არ გავამარტივოთ და არ გავაუფასუროთ ტკივილი სიტყვით. სწორედ ამ ღია, მტკივნეულ და პასუხისმგებლიან მეხსიერებაში იბადება ჰოლოკოსტის შემდგომი ეთიკა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Arendt, H. (2006). Eichmann in Jerusalem: A Report on the Banality of Evil. London: Penguin Books.
2. Bauman, Z. (1989). Modernity and the Holocaust. Ithaca, NY: Cornell University Press.
3. Celan, P. (2003). Collected Prose. New York: Routledge.
4. Jonas, H. (1987). The Concept of God after Auschwitz: A Jewish Voice. New York: Schocken Books.
5. Levi, P. (2000). If This Is a Man. London: Everyman's Library.
6. Levinas, E. (1985). Ethics and Infinity. Pittsburgh: Duquesne University Press.
7. Neher, A. (1970). L'Exil de la parole: Du silence biblique au silence d'Auschwitz. Paris: Éditions du Seuil.
8. Wiesel, E. (2006). Night. New York: Hill and Wang.

რატი რამიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა

ნავთობი და „ისლამური სახელმწიფო“ (2014-2019 წლები)

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ნავთობის, როგორც სტრატეგიული, პოლიტიკური და სამხედრო ინსტრუმენტის, როლი „მეოთხე თაობის ომის“ კონტექსტში. ავტორი აანალიზებს ნავთობის მნიშვნელობას პირველი მსოფლიო ომიდან დღემდე, სადაც რესურსი უბრალო საწვავიდან ჰიბრიდული ომის საკვანძო ელემენტად იქცა.

კვლევის ფოკუსი მიმართულია „ისლამური სახელმწიფოს“ (ISIS) მიერ 2014-2019 წლებში სირიასა და ერაყში ნავთობის საბადოების ექსპლუატაციაზე. ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი, თუ როგორ იყენებდა ექსტრემისტული ორგანიზაცია ენერგორესურსებს ორი ძირითადი მიზნით: ფინანსური თვითკმარობის მოსაპოვებლად და მოწინააღმდეგის ეკონომიკური დესტაბილიზაციისთვის. მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს კავშირს ნავთობზე კონტროლსა და დაჯგუფების ტერიტორიულ ჰეგემონიას შორის.

თანამედროვე კონფლიქტებში ნავთობი გადაიქცა მრავალფუნქციურ იარაღად, რომლის ფლობა არასახელმწიფოებრივ აქტორებს ძალაუფლების გენერირებისა და ექსპორტის საშუალებას აძლევს. ნაშრომი აქტუალურია რეგიონული უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული სტაბილურობის სამომავლო საფრთხეების გააზრებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ნავთობი, „ისლამური სახელმწიფო“, ახლო აღმოსავლეთი, ექსტრემიზმი, ომი.

ნავთობის, როგორც სასიცოცხლოდ აუცილებელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო იარაღის მნიშვნელობა ცნობილი ფაქტია. ამ მახასიათებელს იგი, მომხმარებლის გააზრება-არგააზრების მიუხედავად, მისი აღმოჩენიდან მოყოლებული ატარებს.[1]

XX საუკუნის პირველ ნახევარში წარმოებულმა ორმა მსოფლიო ომმა 1914-1918 და 1939-1945 წლებში არა მხოლოდ გეოპოლიტიკური ვითარების ცვლილება და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება მოიტანა, არამედ დააჩქარა სამხედრო მრეწველობის განვითარება, რაშიც უდიდესი წვლილი ნავთობს მიუძღვის. ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ნავთობის როლი ხშირად თითქოს „არ ჩანს“ ამა თუ იმ სარბიელზე, თუკი დაინტერესებულმა პირმა განსაკუთრებით არ გაუსვა მას ხაზი. მაგალითად, მრავალი მეცნიერი და მკვლევარი აღნიშნავს იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ 1916 წელს, I მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, სომის ბრძოლაში, ბრიტანელებმა გერმანელთა წინააღმდეგ ახალი სამხედრო მანქანა – ტანკი პირველად გამოიყენეს, მაგრამ უყურადღებოდ რჩება ის, რომ ტანკები საწვავად არა ქვანახშირს, არამედ ბენზინს იყენებდნენ. ერთი შეხედვით ჩნდება კითხვა, რა საჭიროა ასეთი „უმნიშვნელო“ დეტალის აღნიშვნა? თუმცა, ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს – სწორედ დეტალები ქმნიან პრეცედენტს, რომელიც საყოველთაოდ იქცევა ხოლმე. რეალურად, ნავთობმა სამხედრო ინდუსტრია სრულებით შეცვალა და ეს „მცირე“ ნიუანსი დიდი მოვლენის საილუსტრაციო მაგალითია და, ვფიქრობთ, სიმბოლური დასაწყისიც.

შესაბამის სამეცნიერო-ანალიტიკურ და სამხედრო ლიტერატურაში არსებობს ოთხი თაობის ომის თეორია (მაისაია და გუჩუა, 2020: 58-60), რომელიც ნაციების სახელმწიფოებად ჩამოყალიბების 500 წლოვან პერიოდს მოიცავს და იწყება ვესტფალიის ზავიდან. ხსენებული თეორია ეკუთვნით ამერიკელ სამხედროებს – ვილიამ ლინდს, კეიტ ნაიტენჯელს, ჯონ სმიტს, ჯოსეფ სატონსა და გარი ვილსონს, რომლებმაც ახალი მოსაზრება 1989 წლის ოქტომბერში გააჟღერეს (Marine Corps Gazette. (1989). N.73:22-26).

1648-1860 წლები – პირველი თაობის ომი – ყალიბდება ხაზოვანი ბრძოლის, კოლონების ტაქტიკა, სამხედრო სტრატეგიული კულტურა, სამხედრო მისალმების წესი, სამხედრო წოდებების სისტემა, სამხედრო წესდებები და საარტილერიო ქვემეხები;

[1] შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით, ნავთობი პირველად აღმოაჩინა Pennsylvania Rock Oil Company-მ 1859 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიის შტატში. რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთს, აქ პირველად სპარსეთის იმპერიაში, ხუზისტანის პროვინციაში, ყაჯარების დინასტიის მმართველობის დროს, 1908 წელს, ბრიტანელებმა აღმოაჩინეს, ხოლო საუდის არაბეთში ამერიკელებმა - 1938 წელს.

1860-1914 წლები – მეორე თაობის ომი – გაზრდილია არტილერიის მოქმედების სიხშირე და აქცენტი. შეიარაღებული ძალების სახეობებს შორის ურთიერთობები ჰარმონიზებულია – სახმელეთო ჯარი, ტანკები და არტილერია ემორჩილება ერთიანი მმართველობის სისტემას;

1914-1991 წლები – მესამე თაობის ომი – დინამიური, მანევრირებადი და სწრაფი ტემპით ომის წარმართვის პერიოდია. ამას ხელს უწყობდა ახალი ტექნოლოგიები – რადიო-ტელეგრაფი, რეაქტიული და კოსმოსური საავიაციო საშუალებები, მასობრივი განადგურების იარაღი და სამხედრო-საჰაერო ძალები;

1991-დღემდე – მეოთხე თაობის ომი – ომის წარმოებაში სახელმწიფო კარგავს მონოპოლიას. საბრძოლო მოქმედებათა თეატრზე გამოდიან ახალი აქტორები – არასახელმწიფოებრივი, გასამხედროებული, რელიგიურ-პოლიტიკური და ექსტრემისტული დაჯგუფებები, როგორებიცაა „ალ-კა'იდა", „ტალიბანი", „ისლამური სახელმწიფო", „ჰიზბ ალაჰი" („ჰეზბოლა"). უკვე არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ კულტურული და იდეოლოგიური დაპირისპირებები გამოდის წინა პლანზე, რომელშიც აქტიურ როლს თამაშობს ჰიბრიდული ომი, რაც ტერიტორიული, ტაქტიკური, სხვადასხვა მექანიზმის, ელექტრონული, კოსმოსური და მრავალი ხელმისაწვდომი ინსტრუმენტის კომბინირებული გამოყენებით ომის წარმოებას გულისხმობს (ანთაძე, 2020:11).

ცხადია, როცა ვახსენებთ სხვადასხვა ინსტრუმენტს, რომლებიც კონფრონტაციაში გამოიყენება, მასში მოიაზრება ბუნებრივი (წყალი, ხე-ტყე) და ენერგეტიკული რესურსებიც (ნავთობი, გაზი, იშვიათი მინერალები), რომელთა საბრძოლო, სტრატეგიულ იარაღად გამოყენება არახალია.

ნავთობის, როგორც სტრატეგიული იარაღის, სახელმწიფოთა მიერ გამოყენება ახლო აღმოსავლეთში და, ზოგადად, მსოფლიოში კარგად განხილული და აქტუალური საკითხია (1973 წლის ნავთობის ემბარგო და ეკონომიკური კრიზისი, ირანის ნავთობპოლიტიკა 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ, რუსეთის ენერგეტიკული ომი 2022 წელს უკრაინაში შეჭრის შემდგომ, 2026 წელს ირანის მიერ ჰორმუზის სრუტის ჩაკეტვა და სხვა), თუმცა რელიგიური ექსტრემისტული ორგანიზაციების მიერ ნავთობის იარაღად გამოყენება და ამით ახლო აღმოსავლეთის კონტექსტში ჰიბრიდულ ომში ჩართვა ნაკლებად შესწავლილი და მრავალვექტორული ფენომენია როგორც რეგიონის უსაფრთხოების საკითხის, ისე ექსტრემისტული ორგანიზაციების ფინანსების წყაროს გარკვევის თვალსაზრისით. ქვემოთ სწორედ ამ ორ უმნიშვნელოვანეს საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებასა და ვკონცენტრირდებით „ისლამური სახელმწიფოს" სირიასა და ერაყში მოქმედებებზე 2014-2019 წლებში.

„ისლამურ სახელმწიფოს“ (არაბ. الدولة الإسلامية في العراق والشام, „ისლამური სახელმწიფო ერაყსა და შამში“,[2] შემოკლებით „დაიში“, ISIS),[3] როგორც სხვა ექსტრემისტულ თუ არაექსტრემისტულ ორგანიზაციებს, არსებობისათვის, ცხადია, სჭირდებოდა ფინანსები. კაპიტალის შევსების წყაროებიდან სახელდება საზღვარგარეთიდან „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერების ფულადი გზავნილები, მოსახლეობისა და ტურისტების ტერორი, გატაცებული ადამიანების სანაცვლოდ ფულადი გამოსასყიდი, ნარკოტრეფიკინგი, ადამიანთა ორგანოების გაყიდვა, დაკავებულ ტერიტორიებზე არსებული კომერციული დაწესებულებების დაბეგვრა, არქეოლოგიური ძეგლების ძარცვა, არამუსლიმი საზოგადოებისგან საგადასახადოს (ჯიზიის) აღება და ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო – სირიისა და ერაყის ნავთობსაბადოებიდან მიღებული შემოსავალი (მაისაია და გუჩუა, 2020: 87-88).

„ისლამური სახელმწიფოს“ ნავთობთან დამოკიდებულების ორი ძირითადი მიმართულების გამოყოფას ვეთანხმებით: 1) რესურსების გაყიდვით ფინანსური წყაროების მოძიება; 2) ნავთობის საბადოებსა და ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე შეტევა, რათა შეფერხდეს მისი ტრანსპორტირება და ეკონომიკური ზიანი მიადგეს „დაიშის“ მოწინააღმდეგეებს და, უწინარესად, ევროპას (Tichy (2018), The IS and Attacks on the Oil and Gas Sector in Iraq, *Central European Journal of International and Security Studies,* 3:111).

2017 წლის მონაცემებით, სირიაში არსებული საბადოების რაოდენობა 75-ს, ხოლო ერაყში 114-ს შეადგენდა, ორივე ქვეყნიდან კი „ისლამური სახელმწიფო“ ნავთობის 42 საბადოს აკონტროლებდა (Shapiro et al, 2017: 4). მათ შორის,

---

[2]„შამი“, ან „ბილად აშ-შამი“ (بلاد الشام), იგივე სირია.

[3]1999 წელს, ერაყში, იორდანელმა ტერორისტმა აბუ მუსაბ აზ-ზარკავიმ დააარსა ორგანიზაცია „ჯამაათ ათ-თავჰიდ უა-ლ ჯიჰად“ („ერთღმერთიანობისა და ჯიჰადის გაერთიანება“). იგი 2004 წელს შეუერთდა მსხვილ ტერორისტულ დაჯგუფებას – „ალ-კაიდას“ და აზ-ზარკავიმ „ალ-კაიდას“ ლიდერის – უსამა ბინ ლადინის ერთგულების პირობა დადო. 2007 წელს, ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების შესვლის შემდგომ, 2006 წელს ლიკვიდირებული აზ-ზარკავის ორგანიზაცია დავიწყებას მიეცა, თუმცა 2011 წელს, ისარგებლა რა სირიასა და ერაყში არასტაბილურობით, ხელახლა გამოჩნდა. 2013 წელს ორგანიზაციამ სახელი შეიცვალა და გახდა „ისლამური სახელმწიფო ერაყსა და სირიაში“, ხოლო 2014 წელს, მისმა ლიდერმა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ სირიის ქალაქ ალეპოდან ერაყის პროვინცია (მუჰაფაზა) დიალამდე განვრცობილი სახალიფოს შექმნა გამოაცხადა. იმავე წელს აშშ-ს ხელმძღვანელობით შემდგარმა კოალიციამ აქტიური ომი განაგრძო „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ და 2017 წლისთვის ექსტრემისტულმა გაერთიანებამ ათვისებული ტერიტორიის 95% დაკარგა, ხოლო 2019 წელს ამერიკელებმა და მათგან მხარდაჭერილმა „სირიის დემოკრატიულმა ძალებმა“ შეუტიეს სირიაში „დაიშის“ უკანასკნელ სიმაგრეს – ბაღუზს, იმავე წელს მოკლეს ალ-ბაღდადიც. ამით დასრულდა „ისლამური სახელმწიფოს“ (2013-2019 წლები) ტერიტორიული ჰეგემონია, თუმცა მისი ნარჩენები დღემდე განაგრძობენ არსებობას.

მნიშვნელოვან ატ-ტანაკის, ალ-უმარის, დირ აზ-ზურის, ათ-თაიმის, აშ-შულასა და ალ-ხარატას სირიაში (Solomon et al., (2016), Inside Isis Inc: The journey of a barrel of oil, *Financial Tmes*), ხოლო ერაყში ბაიჯს, ნინევიას, ანბარს, სალადინს, ქირქუქს, კაიარას, ნაჯმას, ჰამრინსა და თიქრითს (Tichy (2018), The IS and Attacks on the Oil and Gas Sector in Iraq, *Central European Journal of International and Security Studies,* 3:116). 2016 წელს ჯიჰადისტებმა შეტევა განახორციელეს ალასის, ოგაილისა და აჯილის ნავთობსაბადოებზე.

2015 წელს აშშ-სა და მისი მოკავშირეების, ასევე რუსეთის მიერ განხორციელებული შეტევის შედეგად ინფრასტრუქტურასა და კონტრაბანდის მარშრუტებზე, 2016 წლისთვის დღეში მხოლოდ 16 000-20 000 ბარელი ნავთობის გატანა შეეძლოთ ექსტრემისტებს (500 000 დოლარი დღეში). 2017 წელს ეს რიცხვი 5 000-10 000 შორის მერყეობდა, რასაც წლიურად მხოლოდ 48 მილიონი დოლარის მოტანა შეეძლო (Tichy (2018), The IS and Attacks on the Oil and Gas Sector in Iraq, *Central European Journal of International and Security Studies,* :113-114), რაც, ცხადია, სახელმწიფოს ჩამოყალიბების პრეტენზიის მქონე ტერორისტული დაჯგუფებისათვის საკმარისი არ იყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერაყის ჩრდილოეთით, ბაღდადსა და მოსულს შორის მდებარე ქალაქი ბაიჯი, რომელშიც ქვეყნის უდიდესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ფუნქციონირებდა/ფუნქციონირებს და ერაყის ენერგეტიკული მოთხოვნის მესამედს უზრუნველყოფდა. 2014 წლის ივნისიდან 2015 წლის ოქტომბრამდე ქალაქს ექსტრემისტები აკონტროლებდნენ (Nasser et al (2017), Iraq after ISIL: Baiji, *Global Public Policy Institute*). მოპოვებულ ნავთობს ტერორისტები შავ ბაზარზე გაცილებით იაფ ფასებში ყიდდნენ, მაგალითად, იმ პერიოდისათვის, საერთაშორისო ბაზარზე ერთი ბარელი ნავთობის ფასი 100 დოლარი იყო, ხოლო „დაიში“ მას 25-50 დოლარად ყიდდა და დღეში, დაახლოებით, 4 მილიონ დოლარ შემოსავალს იღებდა. ნავთობპროდუქტების უმთავრესი მომხმარებლები გახლდათ საკუთრივ ორგანიზაციის მიერ კონტროლირებული სირიისა და ერაყის ტერიტორიებზე მცხოვრები რვა მილიონი ადამიანი, რომლებსაც საწვავი და ენერგიის მომარაგება სჭირდებოდათ, გამონაკლისს არც ბაშარ ალ-ასადის (2000-2024) რეჟიმი წარმოადგენდა, რომელიც მტრულად განწყობილი მხარისგან ნავთობსა და გაზს შეღავათიან ფასად ყიდულობდა. (Woertz (2014), How Long Will ISIS Last Economically? *Barcelona Center for International Affairs).* მეორე მხრივ, ნედლი ნავთობი გადაიცვლებოდა თურქეთში არსებულ მზა ნავთობპროდუქტებზე (Al-Khateeb and Gordts (2014), How ISIS Uses Oil to Fund Terror, *Brookings*). საერთო ჯამში, „ისლამური სახელმწიფოს“ 2 მილიარდი დოლარის ბიუჯეტიდან 730 მილიონი დოლარი

სწორედ ნავთობისა და ბუნებრივი აირის გაყიდვიდან იყო მიღებული (მაისაია და გუჩუა, 2020: 88).

2015 წლის ოქტომბერში ერაყის არმიამ და შიიტურმა გასამხედროებულმა დაჯგუფებებმა აიღეს ბაიჯი (Georgy and Roche (2015), Iraqi forces and militia seize most of Baihi refinery officials, *Reuters*). იმავე წლის მარტში ტერორისტებმა დაკარგეს თიქრითი, მაისში კი აჯილისა და ალასის ნავთობის საბადოები, 2016 წელს დათმეს ქაბიბასა და კაიარას ნავთობის მნიშვნელოვანი საბადოც, რითაც ერაყში სრულად დაკარგეს ნავთობზე წვდომა (Heinrich (2016), Islamic State loses control of last oil wells in Iraq – oil ministry, *Reuters*), 2017 წლის დეკემბერში ერაყის ხელისუფლებამ კონტროლი დაამყარა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე (Chmaytelli and Aboulenein (2017), Iraq declares final victory over Islamic State, *Reuters).*

სირიაში, 2016 წლისთვის, ექსტრემისტების ხელში რჩებოდა ატ-ტანაკის, ალ-ვარდის, აშ-შულას, ალ-უმარისა, დირ აზ-ზურის და ათ-თაიმის ნავთობსაბადოები (Almukhtar et al (2016), ISIS Has Lost Many of the Key Places It Once Controlled, *The New York Times*). 2017 წლის ოქტომბერში „სირიის დემოკრატიულმა ძალებმა“ ალ-უმარის საბადო „და'იშის“ მებრძოლებისგან გაათავისუფლეს (Francis (2017), U.S.-backed militias seize key oil field in east Syria – SDF, *Reuters*), ნოემბერში მას მოჰყვა დირ აზ-ზურის დაკავება, რითაც ნავთობის ინდუსტრიის უმთავრესი ნაწილი „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაკარგა (Perry and Jones (2017), Syria declares victory over Islamic State in Deir al-Zor, *Reuters*), იმავე თვეში დასრულდა სირიის მთელი ტერიტორიის ISIS-სგან საბოლოო გათავისუფლება (McDowall and Dadouch (2017), Syria declares victory over Islamic State, *Reuters*), ექსტრემისტების ხელში რჩებოდა სოფელი ბაღუზი, რომელიც 2019 წელს აიღეს „სირიის დემოკრატიულმა ძალებმა“.

ჩვენი დაკვირვებით, ნავთობის საბადოებსა და ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე ისეთი სახის შეტევა, თითქოს მათი განადგურება ყოფილიყო თვითმიზანი, „ისლამურ სახელმწიფოს“ ნაკლებად ახასიათებდა, განსხვავებით „ალ-კა'იდასგან“ (Tichy (2018), The IS and Attacks on the Oil and Gas Sector in Iraq, *Central European Journal of International and Security Studies,* :106), თუმცა მაინც მიმართავდა. ნიშანდობლივია, რომ პირდაპირ შეტევას ენერგეტიკულ რესურსებზე ორ შემთხვევაში ახორციელებდნენ 1) როცა მოწინააღმდეგის ხელში ჩაგდების საფრთხე ჩნდებოდა და მათ ვეღარ გამოიყენებდნენ; 2) განადგურებული ობიექტებიდან კვამლის საფარის უკან დასახევად გამოყენება. ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე მაგალითის დამოწმება შეიძლება ერაყში მიმდინარე ომის ეპიზოდებიდან:

2015 წლის მარტში, აჯილის ნავთობის საბადოს ტერორისტებმა ცეცხლი გაუხსნეს იმ მოტივით, რომ ერაყის საბრძოლო ვერტმფრენებისთვის, რომლებიც თიქრითს ბომბავდნენ, კვამლით შეეშალათ ხელი, თუმცა ამას სტრატეგიული უპირატესობა არ მოუტანია;

2016 წლის აპრილში, ხაბაზის ნავთობის საბადოს (ქირქუქთან ახლოს) სამი ჭაბურღილი ააფეთქეს, მაისში – ორი, ხოლო ივნისში, კაირას ნავთობსაბადოსთან ხუთი ჭაბურღილი გაანადგურეს, რათა მოსულისაკენ ერაყის არმიის წინსვლა შეეჩერებინათ. იმავე წლის ივლისში ჩრდილოეთ ერაყში, ქირქუქთან ახლოს მდებარე ბაი ჰასანის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტანკერი ააფეთქეს; (Tichy (2018), The IS and Attacks on the Oil and Gas Sector in Iraq, *Central European Journal of International and Security Studies,* :118). ოქტომბერსა და ნოემბერში, მოსულთან ახლოს, 19 ჭაბურღილი გაანადგურეს, რათა ერაყის არმიის წინსვლა შეეჩერებინათ (Browne (2016), Islamic State Terrorists (ISIS-Daesh) set Iraqi Oil Fields on Fire, *GlobalResearch centre for Research on Globalization)*;

2017 წლის დასაწყისში, კაიარაში 25 ჭაბურღილი ააფეთქეს; აგვისტოში, ჩრდილოეთ ერაყში, თალაფარის ნავთობსაბადოს სამი ჭაბურღილი გაანადგურეს, რათა მოწინააღმდეგის მოიერიშე თვითმფრინავებისთვის ხელი შეეშალათ (Tichy (2018), The IS and Attacks on the Oil and Gas Sector in Iraq, *Central European Journal of International and Security Studies,* :119); ოქტომბერში სწორედ ამგვარად მოიქცნენ ექსტრემისტები, როცა ერაყში, ჰავიჯაში ნავთობის ჭაბურღილები გაანადგურეს, რათა უკან დახევა უზრუნველეყოთ (Lawrence (2017), Islamic State torches oil wells in northen Iraq – officials, *Reuters*).

ცხადია, მსგავსი სახის იერიშები ნავთობის საბადოებსა და მომპოვებელ ინფრასტრუქტურაზე, ერთი მხრივ, მოწინააღმდეგის (ადგილობრივი მთავრობის) ეკონომიკურ დასუსტებას ისახავს მიზნად, მეორე მხრივ, – სტრატეგიულ პლაცდარმს სთავაზობს თავშეფარებულს, ვინაიდან იმ ობიექტებზე შეტევა, სადაც დისლოცირებულები არიან ტერორისტები და, ამავე დროს, არის ნავთობის ინფრასტრუქტურის განადგურების საფრთხე, რასაკვირველია, მეტად რთულია.

უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ გარკვეულ ტერიტორიულ წარმატებას სწორედ ერაყსა და სირიაში მიაღწია, ანუ იმ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკაში ნავთობი უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს. ვფიქრობთ, ეს შემთხვევითობა არ არის და უკავშირდება, როგორც ხსენებულ ქვეყნებში არასტაბილურ პოლიტიკურ ვითარებას, ისე მათ სტრატეგიულ მდებარეობასა და ნავთობრესურსების სიუხვეს, განსაკუთრებით ერაყის რესპუბლიკის შემთხვევაში (ექსპორტის 95%-ს ნავთობიდან მიღებული

შემოსავალი წარმოადგენს). ქვემოთ წარმოდგენილია ერაყის ნავთობზე დამოკიდებულების ცხრილი 2014-2019 წლებში, ISIS-ის აქტიურობის პერიოდში.

წელი	მთლიანი შიდა პროდუქტი ($) (Trading Economics, Iraq GDP)	ექსპორტი ($) (macrotrends, Iraq Exports)	ნავთობის წილი ($) (Trading Economics, Iraq Exports of mineral fuels, oils, distillation products; Trade Statistics Department, Annual Export Report For the year 2018)
2014	*228.42 მილიარდი*	*88.95 მილიარდი*	*84.4 მილიარდი*
2015	*166.77 მილიარდი*	*57.56 მილიარდი*	*49.3 მილიარდი*
2016	*166.6 მილიარდი*	*46.87 მილიარდი*	*43.8 მილიარდი*
2017	*187.22 მილიარდი*	*63.50 მილიარდი*	*59.63 მილიარდი*
2018	*227.37 მილიარდი*	*92.77 მილიარდი*	*83.8 მილიარდი*
2019	*233.64 მილიარდი*	*88.90 მილიარდი*	*78 მილიარდი*

სტატისტიკაში ცხადად ჩანს, რაოდენ დიდი განსხვავებაა 2015, 2016 და 2017 წლებისა და 2014, 2018 და 2019 წლების მონაცემებს შორის. ჩვენი დაკვირვებით, ამის ერთ-ერთი უდიდესი მიზეზი ისაა, რომ 2015-2017 წლებში „ისლამური სახელმწიფო“ ან უშუალოდ აკონტროლებდა, ან ფიზიკურ ზიანს აყენებდა ნავთობის ინდუსტრიას. „დაიშის“ იატაკქვეშა ნარჩენი ქსელები იერიშებს 2019 წლის შემდგომაც აგრძელებენ ნავთობინდუსტრიაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნავთობი თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში არა მხოლოდ ეკონომიკური რესურსი, არამედ მრავალფუნქციური სტრატეგიული ინსტრუმენტია, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფოებრივი აქტორების მიერ. „ისლამური სახელმწიფოს“ (ISIS/დაიში) მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ მეოთხე თაობის ომის პირობებში ენერგეტიკული რესურსები გადაიქცა ჰიბრიდული ომის მნიშვნელოვან კომპონენტად, სადაც ფინანსური, სამხედრო და იდეოლოგიური ფაქტორები ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. „ისლამური სახელმწიფოს“ გამოცდილება ადასტურებს: ბუნებრივი რესურსები, განსაკუთრებით ნავთობი, თანამედროვე კონფლიქტებში წარმოადგენს ძალაუფლების გენერირების, შენარჩუნებისა და ექსპორტის ერთ-ერთ მთავარ წყაროს. ექსტრემისტული ორგანიზაციების მიერ ენერგორესურსების იარაღად

გამოყენება კომპლექსური გამოწვევაა როგორც რეგიონული უსაფრთხოების, ისე გლობალური ენერგეტიკული სტაბილურობისთვის. აღნიშნული ფენომენის გააზრება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ისტორიული ანალოგიისთვის, არამედ მომავალი საფრთხეების პრევენციისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიების შემუშავების კონტექსტშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანთაძე გ., (2018), ჰიბრიდული ომის გააზრებისთვის. https://www.geocase.ge/ka/publications/38/hibriduli-omis-gaazrebistvis
2. მაისაია, ვ., გუჩუა, ა. (2008), ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები („ისლამური სახალიფო“, „ალ-კაიდა“ და „თალიბანი“) – მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების ასპექტები (2010-2019 წლები), თბილისი, გამომცემლობა „თბილისელები პრინტი“.
3. Al-Khatteeb, l., Gordts, E. (2014), How ISIS Uses Oil to Fund Terror, https://www.brookings.edu/articles/how-isis-uses-oil-to-fund-terror/.
4. Almukhtar, S., Wallace, T., Watkins, D. (2016), ISIS Has Lost Many of the Key Places It Once Controlled, https://www.nytimes.com/interactive/2016/06/18/world/middleeast/isis-control-placescities.html?module=ArrowsNav&contentCollection=World&action=keypress&region=FixedLeft&pgtype=Multimedia.
5. Browne G., (2016), Islamic State Terrorists (ISIS-Daesh) set Iraqi Oil Fields on Fire, https://www.globalresearch.ca/islamic-state-terrorists-isis-daesh-set-iraqi-oil-fields-on-fire/5553597.
6. Chmaytelli, M., Aboulenenin, A. (2017), Iraq declares final victory over Islamic State, https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-iraq-islamicstate/iraq-declares-final-victory-over-islamic-state-idUSKBN1E30B9/.
7. Francis E., (2017), U.S.-backed militias seize key oil field in east Syria – SDF, https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-syria-oilfield/u-s-backed-militias-seize-key-oil-field-in-east-syria-sdf-idUSKBN1CR07E/.
8. Georgy, M., Roche, A. (2015), Iraqi forces and militia seize most of Baiji refinery: officials, https://www.reuters.com/article/2015/10/15/us-mideast-crisis-iraq-baiji-idUSKCN0S91GS20151015/#f4hKfuklOFmOHT73.97.
9. Heinrich M., (2016), Islamic State loses control of last oil wells in Iraq – oil ministry, https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-iraq-oil/islamic-state-loses-control-of-last-oil-wells-in-iraq-oil-ministry-idUSKCN11Y1UA/.
10. Iraq Exports of mineral fuels, oils, distillation products. https://tradingeconomics.com/iraq/exports/mineral-fuels-oils-distillation-products.
11. Lawrence J., (2017), Islamic State torches oil wells in northen Iraq – officials, https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-iraq-oilwells/islamic-state-torches-oil-wells-in-northern-iraq-officials-idUSKCN1C71FW/.

12. Lind, W., Nightengale, K., Schmitt, G., Sutton, J., Wilson, G. (1989), The Changing of War: Into the Fourth Generation, *Marine Corps Gazette,* N73, Quantico, Marine Corps Association.
13. McDowall, A., Dadouch, S. (2017), Syria declares victory over Islamic State, https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-islamic-state/syria-declares-victory-over-islamic-state-idUSKBN1D91QJ/.
14. Nasser, H., Horwarth, A., Domisse, M. (2017), Iraq after ISIL: Baiji, https://gppi.net/2017/09/13/iraq-after-isil-baiji.
15. Perry, T., Jones, G. (2017), Syria declares victory over Islamic State in Deir al-Zor, https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-syria-deiralzor/syria-declares-victory-over-islamic-state-in-deir-al-zor-idUSKBN1D30IE/.
16. Shapiro, J., Do, T.Q., Eldvidge, C., Abdel-jelil, M., Ahm, D., Baugh, K., Lewis-Hansen, J., Zhizhin, M. (2017), How Much Oil is the Islamic State Group Producing? World Bank Group, Development Research Group, Poverty and Inequality Team.
17. Solomon, E., Kwong, R., Bernard, S. (2016), Inside Isis Inc: The journey of a barrel of oil, https://ig.ft.com/sites/2015/isis-oil/.
18. Trading Economics, Iraq GDP, https://tradingeconomics.com/iraq/gdp.
19. Trade statistics Department (2019), Annual export report For the year 2018.
20. Woertz E., (2014), How Long Will ISIS Last Economically? https://www.cidob.org/en/publications/how-long-will-isis-last-economically.

ნინო კაპანაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა

ნავთობის კონტროლის საკითხი ერაყის ომში გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გადაკვეთა

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია 2003 წლის ერაყის ომის კონტექსტში ნავთობის კონტროლის საკითხი და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ინტერესების ურთიერთკავშირი. ანალიზი ეფუძნება ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ახლო აღმოსავლეთის ენერგორესურსები საერთაშორისო პოლიტიკაში ქვეყნებს შორის კონკურენციის საგანს და უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ერაყის სტრატეგიულ მნიშვნელობას, როგორც მსოფლიოში ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი მარაგის მფლობელ სახელმწიფოს. ნაშრომი მიმოიხილავს ომის ოფიციალურ მიზეზებსა და დებატებს, რომლებიც ნავთობის რესურსებზე კონტროლის შესაძლო მიზეზებს უკავშირდება. აგრეთვე განხილულია ენერგეტიკული უსაფრთხოების, საერთაშორისო ძალთა კონკურენციისა და „რესურსების წყევლის'' თეორიის მნიშვნელობა ერაყის მაგალითზე, სადაც ბუნებრივი რესურსების სიუხვე ვერ იქცა პოლიტიკური სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების საყრდენად.

ნაშრომი მიმართულია ერაყის ომის გამომწვევი მიზეზებისა და მის შემდგომ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესების განვითარების შეფასებისკენ. ფოკუსი კონცენტრირებულია ნავთობის, როგორც გეოეკონომიკური ეფექტების გავლენის მნიშვნელობაზე.

კვლევის შედეგებმა ცხადჰყო, რომ ერაყის ომში ნავთობი საკვანძო ელემენტს წარმოადგენდა იმ კომპლექსურ პოლიტიკურ გარემოში, რომელმაც გავლენა მოახდინა კონფლიქტის წარმოშობასა და მის შემდგომ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: ნავთობი, ახლო აღმოსავლეთი, ენერგორესურსები, რესურსების წყევლა, ერაყის ომი.

ნავთობი XX და XXI საუკუნეების საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ რესურსსა და დასაყრდენს წარმოადგენს, ხოლო ახლო აღმოსავლეთი - მისი უდიდესი მარაგების ფლობის გამო, გლობალური გეოპოლიტიკური კონკურენციის ცენტრალურ სივრცედ იქცა. რეგიონი, რომელშიც საუდის არაბეთი, ირანი, ერაყი, ქუვეითი ერთიანდება, ფლობს მსოფლიოში არსებული ნავთობმარაგების მნიშვნელოვან ნაწილს (2025 წლის მონაცემებით, მსოფლიოს დადასტურებული ნავთობის დაახლოებით 40.9%-ს ფლობენ) (Oil Reserves by Country, (2025), *Worldometers*), რაც მას განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აქცევს, როგორც ეკონომიკური, ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით. ნავთობის მნიშვნელობა მხოლოდ და მხოლოდ მისი ეკონომიკური ღირებულებით არ განისაზღვრება. საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრები, მათ შორის დენიელ იერგინი თავის ნაშრომში "The Prize", აღნიშნავს, რომ XX საუკუნიდან სახელმწიფო ძალაუფლების ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა ენერგორესურსებზე კონტროლი. „ნავთობის მსხვილ რესურსებზე კონტროლი, ან სულ მცირე მათზე ხელმისაწვდომობა..., სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას, დააგროვონ სიმდიდრე, უზრუნველყონ ეკონომიკური განვითარება, აწარმოონ და გაასაღონ საქონელი და მომსახურება, ააშენონ, შეიძინონ, გადაადგილდნენ, იყიდონ და აწარმოონ იარაღი, მოიგონ ომები" (Yergin, 1991:*777*), შესაბამისად, ახლო აღმოსავლეთის ნავთობი გეოპოლიტიკური გავლენის ბერკეტი გახდა. ნავთობის აღმოჩენამ რეგიონში არსებულ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და სხვა სტრუქტურებზე დიდი გავლენა იქონია, მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ენერგოდამოკიდებულების ზრდასთან ერთად. ეს გავლენა აღმოჩნდა სწრაფი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარება, თუმცა, ამავე დროს, გამოიწვია საგარეო ძალების გააქტიურება და ინტერესის გაღვივება რეგიონის მიმართ, რაც საფუძვლად დაედო პოლიტიკურ ჩარევებს და რეგიონულ დაპირისპირებებს (Juhasz, (2013), *Why the war in Iraq was fought for Big Oil. CNN*) (*Iraq 20 years on: An unwinnable war, a war for oil*, (2023), *CGTN*), რომელიც ხშირად სცდებოდა ადგილობრივ ფარგლებს და მსოფლიო ძალთა კონკურენციის მნიშვნელოვან ნაწილად იქცეოდა.

2003 წლის 20 მარტს დაწყებული ერაყის ომი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და სადავო მოვლენად იქცა. ოფიციალურად სამხედრო ოპერაცია, რომელიც აშშ-ის ხელმძღვანელობით განხორციელდა, დასაბუთდა და გავრცელდა, უპირველესად, მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის ეჭვით, ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობითა და რეგიონული უსაფრთხოების სტაბილიზაციის მიზნებით (გელაშვილი, 2003), *რადიო თავისუფლება*). ეს მხოლოდ ის მიზეზია, რაც

თავდაპირველად ფართოდ გავრცელდა მასებში, მაგრამ კონფლიქტის დაწყებისთანავე საერთაშორისო მასშტაბით გაჩნდა ეჭვი მისი რეალური მოტივებისა და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ, რაც წლების განმავლობაში გაძლიერდა დებატების სახით, იმის შესახებ თუ რამდენად იყო ნავთობის რესურსებზე კონტროლი კონფლიქტის მამოძრავებელი ფაქტორი. (Juhasz, (2013), *Why the war in Iraq was fought for Big Oil, CNN*; Tyagi, (2019), *The Iraq war was not about oil*, *Quillette*). ამ დებატების საფუძველს ქმნიდა ის გარემოება, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში რესურსებზე პირდაპირი კონტროლი ყოველთვის არ ნიშნავს მათ ფიზიკურ დაუფლებას. სახელმწიფოები ცდილობენ, რომ ჩაერთონ შიდა პროცესებში და გავლენა იქონიონ მიწოდების მარშრუტებზე, ფასების ცვლილებებსა და ენერგეტიკული ბაზრების სტაბილურობაზე. რეგიონში ხშირად სამხედრო და პოლიტიკური აქტივობა გრძელვადიანი ძალაუფლების შენარჩუნებისა და უშუალო ეკონომიკური სარგებლის საწინდარია.

ერაყი მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს ნავთობრეზერვებს ფლობს და დადასტურებული ნავთობის მარაგებით მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა (2025 წლის მონაცემებით, მსოფლიოს დადასტურებული ნავთობის დაახლოებით 8.2%) ვენესუელას, საუდის არაბეთის, კანადისა და ირანის შემდეგ (Oil Reserves by Country, (2025), *Worldometers*), რის გამოც განსაკუთრებულ როლს თამაშობს ენერგორესურსებთან დაკავშირებულ საერთაშორისო პოლიტიკაში. მისი სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, ეს კონფლიქტი გარკვეულ კითხვებს ბადებს, მაგალითად, ხომ არ ისახავდა ომი მიზნად ნავთობის გლობალურ ბაზარზე ძალთა ბალანსის (*Iraq 20 years on: An unwinnable war, a war for oil*, (2023), *CGTN*), ენერგორესურსების სტრატეგიულ გადანაწილებას, ან ხომ არ იყო ერაყის კონფლიქტი დაკავშირებული გრძელვადიანი პოლიტიკური და სამხედრო გავლენის გაძლიერებასთან რეგიონში. ამ საკითხის შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო ენერგო მოხმარება სწრაფად იზრდებოდა, განსაკუთრებით ჩინეთისა და ინდოეთის ეკონომიკური განვითარების ფონზე. მსხვილი სახელმწიფოები არა მხოლოდ არსებული რესურსების მოპოვებაზე, არამედ მათი მიწოდების გარანტიაზეც ზრუნავენ.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ერაყმა მოახერხა ნავთობის ინდუსტრიის ნაციონალიზაცია: 1972 წლის 1 ივნისს მთავრობამ Iraq Petroleum Company-ის დარჩენილი აქტივები სახელმწიფო საკუთრებაში გადაიყვანა, ხოლო 1975 წლისთვის ქვეყანაში არსებული უცხოური ნავთობკომპანიების ინტერესების დარჩენილი ნაწილიც სახელმწიფოს კონტროლქვეშ მოექცა (Metz, 1990:141). ამ პროცესმა სახელმწიფოს მისცა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტი, თუმცა, ამავე დროს, გაამძაფრა ისეთი გარე ძალების ინტერესი ქვეყნის

ენერგორესურსების მიმართ, როგორებიც იყვნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.

1990 წლის 2 აგვისტოს ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ქუვეითში სამხედრო ძალები შეიყვანა, ააფეთქეს, დაახლოებით, 700 ჭაბურღილი და ცისტერნა. 6 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო „რეზოლუცია 661“, რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა ერაყის ნავთობის ექსპორტი და დააზარალა ეკონომიკა (EBSCO, (2021), *Iraq wars and the American economy*), მაგრამ ასევე შეინარჩუნა სახელმწიფო კონტროლი ენერგორესურსებზე. ეს გარემოება 2003 წლის შემდეგ ძირეულად შეიცვალა.

ქუვეითში, ჭაბურღილების აფეთქებამ, ისტორიაში, ნავთობთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური კატასტროფა გამოიწვია — გარემოში დიდი რაოდენობით ნავთობი ჩაიღვარა და ჰაერის, წყლისა და ზოგადად, ძლიერი ეკოლოგიური დაბინძურების მიზეზი გახდა, არა მხოლოდ ქუვეითში, არამედ მთელს ყურეში. ქუვეითზე თავდასხმას მოჰყვა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მოკავშირე ძალების სპეცოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ ერაყის ჯარების განდევნის მიზნით ქვეყნიდან და რომელიც 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი იყო. ომის შემდეგ ერაყს დაუწესეს მკაცრი ეკონომიკური სანქციები და მასზე გამოცხადდა საერთაშორისო მონიტორინგი მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამებთან დაკავშირებით. მოგვიანებით დადასტურდა, რომ ერაყმა ბირთვული პროგრამა ფაქტობრივად, 1991 წელს შეწყვიტა, თუმცა ეჭვები და პოლიტიკური უნდობლობა საერთაშორისო დონეზე კვლავ შენარჩუნდა (*Iraq burns Kuwaiti oil wells*, (2021), *EBSCO).*

1990-იანი წლების განმავლობაში ერაყის ნავთობი სრულად სახელმწიფო კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული. დასავლური კომპანიები პრაქტიკულად გამორიცხული იყვნენ ქვეყნის ენერგეტიკული ბაზრიდან. სანქციების პირობებში გაეროს ზედამხედველობით, ამოქმედდა სპეციალური პროგრამა „ნავთობი საკვების სანაცვლოდ“, რომელიც მიზნად ისახავდა ჰუმანიტარული კრიზისის შემსუბუქებას. ამ პრაქტიკის ფარგლებში, ერაყს შეეძლო შეზღუდული რაოდენობით ნავთობის გაყიდვა საერთაშორისო ბაზარზე, ხოლო მიღებული შემოსავლებით აუცილებელი პროდუქციის შეძენა. აღნიშნულმა სისტემამ, ერთი მხრივ, შეამცირა სრული ეკონომიკური კოლაფსის რისკი, თუმცა, მეორე მხრივ, გაამძაფრა პოლიტიკური მსჯელობები რესურსების კონტროლის შესახებ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე.

ომის დაწყებამდე საზოგადოებაში აქტიურად განიხილებოდა, რომ ერაყის ნავთობის სექტორი, რომელიც სახელმწიფო კონტროლის ქვეშ იყო, შეიძლება გახსნილიყო უცხოური ინვესტიციებისთვის. ზოგიერთი კვლევა მიუთითებს, რომ მსხვილი ენერგეტიკული კორპორაციები დაინტერესებულნი იყვნენ ერაყის ბაზარზე დაბრუნებით, რადგან ქვეყანა ფლობდა სხვა რეგიონებთან შედარებით იაფად მოპოვებად და მაღალხარისხიან ნავთობს. ამგვარი რესურსები გლობალური ენერგეტიკული კომპანიებისთვის განსაკუთრებით ღირებული და მომგებიანი აქტივია, რადგან ქმნის გრძელვადიან კონკურენტულ უპირატესობას. ვინაიდან, ერაყის ნავთობი მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებულად მიმზიდველად მიიჩნეოდა, ომის შემდგომ პერიოდში მართლაც გაფორმდა კონტრაქტები საერთაშორისო კომპანიებთან, რაც გარკვეულწილად, ადასტურებს, რომ ენერგეტიკული სექტორი გლობალური ინტერესის საგანს წარმოადგენდა (Juhasz, (2013), *Why the war in Iraq was fought for Big Oil, CNN*). თუმცა ამ პროცესს თან ახლდა არასტაბილურობა, უსაფრთხოების პრობლემები და პოლიტიკური გაურკვევლობა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ნავთობის წარმოების სწრაფი ზრდა.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ერაყის ომს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა როგორც თავად ერაყზე, ისე ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაზე. ომის ხარჯებმა მილიარდობით დოლარს მიაღწია და მნიშვნელოვნად გაზარდა დანაკარგები. ამასთან ერთად, საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასები როგორც ომის პერიოდში, ისე მის შემდგომ წლებშიც მერყეობდა, რაც ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ დავებს კიდევ უფრო ამძაფრებდა. ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ თუ ომის მიზანი მხოლოდ ნავთობის იაფად მოპოვება იქნებოდა, მაშინ ეკონომიკური შედეგები ნაკლებად გონივრული აღმოჩნდებოდა (*Iraq wars and the American economy*, (2021), *EBSCO)*, რადგან ომის შედეგად დაკარგული ფინანსები ბევრად აღემატებოდა იმ ეკონომიკურ სარგებელს, რაც რეალურად სურდათ, რომ მიეღოთ. მიუხედავად ამისა, სტრატეგიული გათვლები კონტროლის დასამყარებლად ხშირად მოიცავს გრძელვადიან გეოპოლიტიკურ გეგმას.

ნავთობის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ომის შემდეგ დაწყებული პოლიტიკური ცვლილებების დროს და ახალი საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც მოიცავდა ენერგეტიკული სექტორის დაბალანსებისა და რეგულირების პროცესს, მიზნად ისახავდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და მისი წარმოების ზრდას. პარალელურად, ქვეყნის შიგნით არსებობდა შემაფერხებელი ფაქტორები, როგორიცაა შიდა პოლიტიკური დაპირისპირებები, ეთნიკური და რელიგიური დაყოფა, აგრეთვე უსაფრთხოების პრობლემები. ერთ-ერთი მწვავე საკითხი იყო ნავთობის შემოსავლების

განაწილება ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონებს შორის, რაც ნიშნავს, რომ ენერგეტიკული რესურსები არა მხოლოდ საგარეო დაძაბულობის, არამედ შიდა პოლიტიკური არეულობის მიზეზიც იყო.

ერაყის ომი წარმოადგენს მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება ენერგორესურსები იქცეს სამხედრო ჩარევის პირდაპირ ან ირიბ მოტივად. აქვე განიხილავენ ენერგეტიკული უსაფრთხოების კონცეფციას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები კონცენტირებულნი არიან, რომ უზრუნველყონ უწყვეტი წვდომა ენერგორესურსებზე, განსაკუთრებით იქ, სადაც პოლიტიკური არასტაბილურობა მაღალია. ამ სტრატეგიულ გათვლებში ერაყი თავისთავად, ბუნებრივად იყო მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორც ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი რეზერვის მქონე ქვეყანა, რასაც თან ახლავს ამ საკითხის კომპლექსურობა, რადგან მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ომის დაწყების ოფიციალური არგუმენტი, ანუ უსაფრთხოების საკითხი, არ ეფუძნებოდა ნავთობის პირდაპირ მოპოვებას.

ერაყის ნავთობის წარმოება დრო და დრო კიდევ უფრო გაიზარდა ომის შემდეგ, ხშირად პროგნოზირებდნენ „ნავთობის ბუმს“, რასაც ქვეყანამ ვერ მიაღწია. აქ მძვინვარებდა ინფრასტრუქტურული პრობლემები, კორუფცია და პოლიტიკური არასტაბილურობა ხელს უშლიდა რესურსების სრულ ათვისებას. ერაყს, გარკვეულწილად, ჰქონდა პოტენციალი, გამხდარიყო საერთაშორისო ენერგეტიკული ბაზრის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე. შედეგად, ნავთობის კონტროლის საკითხი კვლავ დარჩა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარ პრობლემად და იგი ერაყის ომის კონტექსტში არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ერთმნიშვნელოვნად. ენერგორესურსების ფაქტორი უდავოდ ერთიანდებოდა სხვა პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ გარემოებებსა და უსაფრთხოების საკითხთან.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ არის გავრცელებული ე.წ. „რესურსის წყევლის“ (The Resource Curse) თეორია, ასევე ცნობილი სახელით, როგორც „სიუხვის პარადოქსი“ (The Paradox of Plenty) ან „სიღარიბის პარადოქსი“ (The Poverty Paradox), რომელიც ეკონომიკური და პოლიტიკური კონცეფციაა. ამ თეორიის მიხედვით, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი სახელმწიფოები ხშირად დესტრუქციული პრობლემების წინაშე დგანან, როგორიცაა კორუფცია, პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური სტაგნაცია, ავტორიტარული მმართველობის მაღალი ტენდენცია და სხვა (*The resource curse,* (2015), *NRGI*). ერაყის შემთხვევა ხშირად განიხილება „რესურსების წყევლის“ ერთ-ერთ მაგალითად, რადგან ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგების მიუხედავად, ქვეყანა ხანგრძლივი დროის განმავლობაში პოლიტიკური არა სტაბილურობითა და ინსტიტუციური სისუსტით ხასიათდებოდა. ნავთობიდან მიღებული მაღალი

შემოსავალი კონკურენციის ობიექტი გახდა როგორც შიდა ჯგუფებს შორის (შიიტური პოლიტიკურ ძალები, სუნიტური თემები, ქურთების არაფორმალური დამოუკიდებლად მოქმედი ჯგუფები), ისე საერთაშორისო სივრცეში.

ერაყის ომისა და ნავთობის საკითხის გაანალიზებისას, საჭიროა, ყურადღება გამახვილდეს იმ საერთაშორისო ენერგეტიკულ გარემოზე, რომელიც არსებობდა 2000-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საერთაშორისო ნავთობის საერთაშორისო ბაზარი უკვე ხასიათდებოდა მზარდი მოთხოვნით. ენერგორესურსებზე კონკურენცია ძლიერდებოდა, ახლო აღმოსავლეთი კი რჩებოდა რეგიონად, სადაც მსოფლიოს დადასტურებული ნავთობრეზერვების ყველაზე დიდი ნაწილი იყო თავმოყრილი. OPEC-ის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მისი რაოდენობა დაახლოებით 694,754 მილიონი ბარელიდან, რაც 2000 წლის მონაცემია, (OPEC Annual Statistical Bulletin-2000, (2000), გვ. 10) მცირედით გაიზარდა და 698,813 მილიონ ბარელს (2001 წ.) (OPEC Annual Statistical Bulletin-2001, 2001, გვ. 10) მიაღწია, შემდეგ კი თითქმის უცვლელი რაოდენობით დარჩა — 698,906 მლნ. ბარელი (OPEC Annual Statistical Bulletin-2002, (2002), გვ. 10). ეს რიცხვები ამ პერიოდში სტაბილურ, თუმცა მაღალ დონეს აჩვენებს, ხოლო 2003 წლიდან ზრდის ტენდენცია კიდევ უფრო გამოიკვეთა და დადასტურებული ნავთობის ოდენობამ 735,866 მლნ. ბარელი მოიცვა (OPEC Annual Statistical Bulletin-2003, (2003), გვ. 10). ამ პირობებში ერაყი, როგორც ნავთობით მდიდარი ქვეყანა, მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც, რადგან მისი სტაბილურობა ან არასტაბილურობა მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარზე გავლენას ახდენდა.

2000 წლის ოქტომბერში სადამ ჰუსეინმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა, ერაყის ნავთობის ვაჭრობა დოლარის ნაცვლად ევროში გადაიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაწყვეტილებას პირდაპირი ეკონომიკური ეფექტი არ მოჰყოლია, მან მნიშვნელოვანი სიმბოლური და გეოპოლიტიკური დატვირთვა შეიძინა და ყურადღება მიიპყრო ე.წ. „პეტროლ-დოლარის სისტემის“ გამო, ვინაიდან მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო ენერგეტიკული ვაჭრობა ძირითადად ამერიკულ დოლარში ხორციელდებოდა. საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში დოლარის დომინანტურობა ამერიკის ეკონომიკური ძალაუფლების ერთ-ერთ დასაყრდენად მიიჩნევა. შესაბამისად, ზოგიერთი მკვლევრის შეფასებით, ვაჭრობის ალტერნატიულ ვალუტაზე გადატანა აღიქმებოდა, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დემონსტრირებად.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ შეერთებული შტატების საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა. პრეზიდენტმა

ჯორჯ ბუშმა 2002 წელს ერაყი „ბოროტების ღერძის“ ნაწილად მოიხსენია და განაცხადა, რომ ქვეყანა ფლობდა მასობრივი განადგურების იარაღს. 2002 წლის ბოლოს და 2003 წლის დასაწყისში ვაშინგტონი აქტიურად ეძებდა საერთაშორისო და შიდა პოლიტიკურ საბუთს ერაყში ინტერვენციისთვის, რომლის ოფიციალური მიზანი იყო რეჟიმის შეცვლა და ე.წ. მასობრივი განადგურების იარაღის მოსპობა.

ომის პერიოდში იდეოლოგიური კომპონენტიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ამერიკის ადმინისტრაციულ წრეებში არსებობდა მოსაზრება, რომ ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის გავრცელება შექმნიდა გრძელვადიან სტაბილურობას. რეჟიმის შეცვლა განიხილებოდა როგორც რეგიონული ცვლილებების დასაწყისი. ამ მიდგომის საფუძველი ე.წ. „დემოკრატიული მშვიდობის თეორიას“ უკავშირდება, რომლის მიხედვითაც დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთთან ომს პრაქტიკულად არ აწარმოებენ, თუმცა ერაყის გამოცდილებამ ნათელი მოჰფინა სახელმწიფო ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სისტემის სისუსტეს. რეალურ პრაქტიკაში სახელმწიფოს ინსტიტუტების დაშლამ და უსაფრთხოების დეფიციტმა ხელი შეუწყო შიდა დაპირისპირებების გაძლიერებას, რის გამოც თეორიული მოლოდინები და გეგმები პრაქტიკაში ვერ განხორციელდა.

2003 წლის 5 თებერვალს გაეროს უშიშროების საბჭოში სიტყვით გამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი. მან წარმოადგინა სხვადასხვა ვიზუალური მასალა და სიმბოლური „ფლაკონი თეთრი ფხვნილით“ (*Iraq 20 years on: An unwinnable war, a war for oil*, (2023), *CGTN*) და განაცხადა, რომ ერაყი განაგრძობდა მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებას. თუმცა მისმა გამოსვლამ ვერ დაარწმუნა უშიშროების საბჭოს წევრები სამხედრო ოპერაციის აუცილებლობაში და მეტიც, მასობრივი განადგურების იარაღის აღმოჩენის წარუმატებლობის შემდეგ, პაუელმა აღიარა, რომ გამოსვლა დაფუძნებული იყო სადაზვერვო საზოგადოების მიერ მოწოდებულ ცრუ ინფორმაციაზე და ამ შეცდომას მის კარიერაზე ხანგრძლივი ლაქა უწოდა. ის მაინც მონაწილეობდა 2003 წელს ერაყში შეჭრის ოპერაციაში. რამდენიმე სახელმწიფო, მათ შორის საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი, მოითხოვდნენ დაკვირვების გაგრძელებას და ეწინააღმდეგებოდნენ სამხედრო ჩარევის დაჩქარებას. მიუხედავად საერთაშორისო კონსენსუსის არარსებობისა, 2003 წლის 20 მარტს აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს ხელმძღვანელობით კოალიციურმა ძალებმა გაეროს ახალი მანდატის გარეშე დაიწყეს ერაყში სამხედრო ოპერაცია, რომელიც ისტორიაში შევიდა სახელით „ერაყის ომი“ (Tyagi, (2019), *The Iraq war was not about oil*, *Quillette*).

ბაღდადის დაცემამ და სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასრულებამ ვერ უზრუნველყო სტაბილურობა. 2003 წლის დეკემბერში ერაყის მმართველი დააკავეს, 2005 წელს სასამართლომ მას მიუსაჯა სიკვდილით დასჯა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებებისთვის, განსაკუთრებით 1982 წელს შიიტი მოსახლეობის მკვლელობისთვის, ხოლო 2006 წელს ის სიკვდილით დასაჯეს. ამავე პერიოდში გაირკვა, რომ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი არ აღმოჩნდა და ბირთვული პროგრამა 1991 წლის შემდეგ აღარ ფუნქციონირებდა. 2003 წელს აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლ ვულფოვიცმა აღნიშნა, რომ მასობრივი განადგურების იარაღის თემა იყო ის არგუმენტი, რომელზეც პოლიტიკური თანხმობა შედგა, რაც მიუთითებდა, რომ რეალური მოტივები უფრო კომპლექსური იყო.

ომის შემდგომი პერიოდი გამოირჩეოდა ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის სერიოზული დაზიანებით. საბადოები, ნავთობსადენები და გადამამუშავებელი ქარხნები ხშირად ხდებოდნენ შეიარაღებული დაპირისპირების ობიექტი. ეს გარემოება აფერხებდა წარმოების და აჩენდა კითხვას, რამდენად რეალისტური იყო სწრაფი ეკონომიკური აღდგენა მხოლოდ ნავთობის სექტორზე დაყრდნობით. უსაფრთხოებისთვის განკუთვნილი მაღალი ხარჯები ზრდიდა ნავთობის მოპოვების თვითღირებულებას და ამცირებდა პოტენციურ ეკონომიკურ სარგებელს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური კომპანიებისთვის.

2004 წლიდან კონფლიქტი შევიდა უფრო რთულ ფაზაში. გაძლიერდა აჯანყება, გამწვავდა შიიტურ-სუნიტური დაპირისპირება, გაიზარდა ტერაქტები და სამოქალაქო მსხვერპლი. ათიათასობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. განსაკუთრებით მძიმე იყო დაპირისპირებები ქალაქებში, მათ შორის ფალუჯაში, სადაც ინტენსიურმა სამხედრო ოპერაციებმა სერიოზული ჰუმანიტარული შედეგები გამოიწვია.

2000-იანი წლების შუა პერიოდში აშშ ცდილობდა ერაყის სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემის შეცვლას, ამ პროცესში ჩართული იყო საკონსულტაციო კომპანიაც, რომელიც მონაწილეობდა ახალი კანონებისა და რეფორმების შემუშავებაში. 2007 წლის იანვარში ბუშის ადმინისტრაციამ ერაყის მთავრობას წარუდგინა კონკრეტული მოთხოვნები, მათ შორის „ჰიდროკარბონების კანონის“ მიღება (Juhasz, (2013) , *Why the war in Iraq was fought for Big Oil, CNN*). ეს კანონი ითვალისწინებდა ნავთობისა და გაზის პროდუქციის განაწილების ფორმას, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება მაღალი რისკის ქვეყნებში. თუმცა, ერაყში ამ ინიციატივამ ძლიერი საზოგადოებრივი და

საპარლამენტო წინააღმდეგობა გამოიწვია, რადგან საზოგადოების ნაწილი ამას აღიქვამდა ეროვნული სუვერენიტეტის შესუსტებად, რის გამოც კანონმა სრულად ვერ გაამართლა.

ამავე პერიოდში გაფორმდა კონტრაქტები მსხვილ საერთაშორისო კომპანიებთან, მათ შორის „ექსონმობილ“ (ExxonMobil) „ბი-პი“ (BP) და „როაიალ დატჩ შელი“ (Royal Dutch Shell). ფორმალურად ნავთობის რესურსები სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩა, თუმცა ის დამოკიდებული გახდა უცხოურ კაპიტალსა და ტექნოლოგიაზე. მოგვიანებით თავის მემუარებში აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილმა თავმჯდომარემ ალან გრინსპეიმაც აღნიშნა, რომ ერაყის ომი, დიდ წილად, ნავთობს უკავშირდებოდა.

ნავთობის საკითხი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფედერალიზმის პრობლემასთანაც. ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე ქურთისტანის ავტონომიურმა რეგიონმა დაიწყო დამოუკიდებელი კონტრაქტების გაფორმება უცხოურ კომპანიებთან, რაც ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონს შორის პოლიტიკურ კონფლიქტს იწვევდა (*Wahab,* (2023), *The rise and fall of Kurdish power in Iraq*, *Washington Institute*). ნავთობის შემოსავლების განაწილება იქცა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო პრობლემად.

მნიშვნელოვანია, რომ აქვე აღინიშნოს ზოგიერთი შედეგი, რაც მოჰყვა ნავთობზე „ნადირობას“ , რამაც რიგ შემთხვევებში საკმაოდ სავალალო ვითარება შექმნა. ომის შემდეგ ნავთობი დარჩა ერაყის სახელმწიფო ბიუჯეტის უმთავრეს წყაროდ. დაახლოებით 15 წლის შემდეგ ნავთობი შეადგენდა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 69 პროცენტს (*Oil heyday that Iraq sought for decades may never arrive*, (2023), *BloombergNEF*,). ნავთობის ფასების მერყეობამ არაერთხელ გამოიწვია საბიუჯეტო კრიზისი და სოციალური დაძაბულობა, რაც მიუთითებს, რომ რესურსებზე წვდომა ავტომატურად არ უზრუნველყოფს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

გარემოს დაცვითმა პრობლემებმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ომის პერიოდში და შემდგომ წლებშიც ნავთობის ინფრასტრუქტურის დაზიანებამ გამოიწვია გაჟონვები და დაბინძურება, რაც უარყოფითად აისახებოდა მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სოციალურ პირობებზე.

კონფლიქტში აქტიურად მონაწილეობდნენ კერძო ამერიკული სამხედრო კომპანიებიც, მათ შორის „ბლექვოთერი“. მათი ქმედებები, განსაკუთრებით სამოქალაქო პირების წინააღმდეგ ძალის გამოყენებისას, განსჯის საგნად იქცა იურიდიული კონტროლის საკითხებზე. ეს კიდევ უფრო ართულებდა ომის

სამართლებრივ შეფასებას, რასაც თან ერთვოდა უკანონო დაკავებები და ომის ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებული დანაშაული - აბუ გრაიბის ციხის საქმე, რომელიც პოლიტიკური პატიმრებისთვის გამოიყენებოდა, ხოლო პასუხისმგებლობა ეკისრებოდა აშშ-ს , რომელმაც გარკვეულწილად აღიარა მძიმე სამხედრო დანაშაულებები და უფლებამოსილების გადაჭარბება.

ნავთობის როლი ამ ეტაპზეც მნიშვნელოვანი იყო. ომის შემდგომ პერიოდში აჯანყებულმა ჯგუფებმა მრავალჯერ ამოიღეს მიზანში მილსადენები და ნავთობგადამამუშავებელი ინფრასტრუქტურა. მიზანი იყო სახელმწიფოს ფინანსურად დასუსტება, ვინაიდან, ნავთობიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენდა ქვეყნის ბიუჯეტის ძირითად წყაროს. ამგვარად, ნავთობი იქცა ეკონომიკურ სამიზნედ, რომლის დაზიანება პირდაპირ აზიანებდა ხელისუფლების სტაბილურობას. ნავთობის კონტროლი ნიშნავდა პოლიტიკური გავლენის მოპოვებასაც.

2011 წლის 18 დეკემბერს აშშ-ის სამხედრო მისია ოფიციალურად დასრულდა, თუმცა კონფლიქტის სამომავლო არსებობა, პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური დამოკიდებულება ნავთობზე და საერთაშორისო ძალთა კონკურენცია — კვლავ განსაზღვრავდა ქვეყნის განვითარებას. 1990 წლიდან დაწყებული მოვლენები ნათლად აჩვენებს, რომ ერაყის ომი უნდა განვიხილოთ მრავალი სირთულის მქონე საკითხად, რომლის ჭრილშიც უსაფრთხოების არგუმენტები, ენერგეტიკული ინტერესები, რეგიონული ძალთა ბალანსი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ნავთობი არ ყოფილა ერთადერთი მიზეზი, თუმცა ის იყო ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული და მამოტივირებელი ფაქტორი, რომელმაც გავლენა მოახდინა როგორც ომის დაწყებაზე, ისე მის შემდგომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე.

ერაყის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ენერგორესურსებზე კონტროლის ფლობა თავისთავად არ ნიშნავს არც პოლიტიკურ სტაბილურობას და არც მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ინსტიტუტები სუსტია და შიდა პოლიტიკური დაპირისპირება უკონტროლო. ერაყის კონფლიქტი ნათელი მაგალითია იმისა, რომ თითქმის შეუძლებელია თანამედროვე კონფლიქტების მხოლოდ ერთი მიზეზით ახსნა. უსაფრთხოება, ეკონომიკური, იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთა, სწორედ ამ ძირითადი ფაქტორების ერთობლიობა არის სამხედრო ინტერვენციების შედეგი, რაზეც თავად საერთაშორისო კვლევები მიუთითებენ. ამგვარად, ამ მიზეზთაგან ცალკეულად რომელიმე ერთით ერაყის

ომის გაანალიზება, მხოლოდ და მხოლოდ, მოგვცემს პროცესის არასრულ სურათს. ერაყის ომის გამოცდილება ცხადყოფს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ენერგეტიკა მხოლოდ ეკონომიკური რესურსი არ არის, ის ძალაუფლების, გავლენისა და უსაფრთხოების ბერკეტად იქცევა. სწორედ ამიტომ, მსგავსი კონფლიქტების შეფასებისას გასათვალისწინებელია როგორც გლობალური ინტერესები, ისე შიდა პოლიტიკური და სოციალური რეალობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელაშვილი, ნ., (2003), *რადიო თავისუფლება.*

https://www.radiotavisupleba.ge/a/1527680.html

2. *Bilal Wahab,* (2023), *The rise and fall of Kurdish power in Iraq*, *The Washington Institute for Near East Policy.*

https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/rise-and-fall-kurdish-power-iraq

3. Daniel Yergin. (1991).

The Prize: The Epic Quest for Oil, Money, and Power. New York.

4. EBSCO, (2001), *Iraq wars and the American economy*, *EBSCO Information Services.*

https://www.ebsco.com/research-starters/military-history-and-science/iraq-wars-and-american-economy

5. EBSCO, (2021), *Iraq burns Kuwaiti oil wells*.

https://www.ebsco.com/research-starters/history/iraq-burns-kuwaiti-oil-wells

6. Fernando, J., (2026), *Resource curse:* How Nations with Rich Resources Face Economic Challenges, *Investopedia.*

https://www.investopedia.com/terms/r/resource-curse.asp

7. Helen Chapin Metz. (1990).

Iraq: A Country Study. *Washington, D.C.: Federal Research Division, Library of Congress.*

8. *Iraq 20 years on: An unwinnable war, a war for oil*, (2023), *CGTN.*

https://news.cgtn.com/news/2023-03-20/Iraq-20-years-on-An-unwinnable-war-a-war-for-oil-1ijQaTWjSDe/index.html

9. *Jonathan Di John,* (2010), *The resource curse: theory and evidence*, *Real Instituto Elcano.*

https://www.realinstitutoelcano.org/en/analyses/the-resource-curse-theory-and-evidence-ari/

10. Juhasz, A., (2013), *Why the war in Iraq was fought for Big Oil*, *CNN.*

https://antoniajuhasz.net/article/why-the-war-in-iraq-was-fought-for-big-oil/

11. Natural Resource Governance Institute. (2015). *The resource curse: The political and economic challenges of natural resource wealth.* https://resourcegovernance.org/sites/default/files/nrgi_Resource-Curse.pdf

12. *Oil heyday that Iraq sought for decades may never arrive*, (2023), *BloombergNEF*.

https://about.bnef.com/insights/commodities/oil-heyday-that-iraq-sought-for-decades-may-never-arrive/#:~:text=The%20first%20two%20decades%20of,heyday%20it%20had%20hoped%20for

13. OPEC, (2020), *World Proven Crude Oil Reserves*, Annual Statistical Bulletin 2020. https://publications.opec.org/asb/archive/chapter/104/547

14. OPEC Annual Statistical Bulletin 2000, (2000), https://www.opec.org/assets/assetdb/asb-2000.pdf

15. OPEC Annual Statistical Bulletin 2001, (2001), https://www.opec.org/assets/assetdb/asb-2001.pdf

16. OPEC Annual Statistical Bulletin 2002, (2002), https://www.opec.org/assets/assetdb/asb-2002.pdf

17. OPEC Annual Statistical Bulletin 2003, (2003), https://www.opec.org/assets/assetdb/asb-2003.pdf

18. *Some Implications of Iraq's Oil Nationalization*, (1972), *U.S. Department of State*. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1969-76ve04/d311

19. United Nations Security Council, *Resolution 661 (1990): On Sanctions Against Iraq, United Nations Digital Library*. https://digitallibrary.un.org/record/94221?v=pdf

20. Tal Tyagi, (2019), *The Iraq war was not about oil*, *Quillette*.

https://quillette.com/2019/05/06/the-iraq-war-was-not-about-oil/

21. Oil Reserves by Country, (2025), *Worldometer*. https://www.worldometers.info/oil/oil-reserves-by-country/

ნიკოლოზ გოგეშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ისტორიის სამაგისტრო პროგრამა (შორეული აღმოსავლეთის ისტორია)

ასუკას ეპოქის სამართლებრივი რევოლუცია

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეხება ასუკას ეპოქის იაპონიაში (უმეტესად VI საუკუნის მეორე ნახევარი და VII საუკუნე) მიმდინარე დინასტიურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ ტრანსფორმაციებს. ნაშრომში დეტალურადაა განხილული არქაული საგვარეულო-კლანური (უჯი) სისტემიდან ჩინური მოდელის ცენტრალიზებულ ბიუროკრატიულ მონარქიაზე გადასვლის ტრაგიკული მოვლენებით სავსე პროცესი. კვლევის ძირითადი ყურადღება მიმართულია სოგას კლანის ჰეგემონიის საკითხზე, მათ ტირანიასა და 645 წლის 10 ივლისს მომხდარ „იშის ინციდენტზე“, რომლის დროსაც პრინცმა ნაკა ნო ოემ და ნაკატომი ნო კამატარიმ სოგა ნო ირუკას მკვლელობით ბოლო მოუღეს კლანურ დიქტატურას. სტატიაში გაანალიზებულია „ნიჰონ შოკიში“ დაცული ისტორიული ტექსტები და 646 წელს გამოცხადებული „ტაიკას რეფორმების“ (რიცურიოს სისტემის) სამართლებრივ-ეკონომიკური ასპექტები (მიწისა და საგადასახადო რეფორმები). კვლევის შედეგად დგინდება, რომ მიუხედავად რეფორმების მიზნისა - განემტკიცებინათ აბსოლუტური საიმპერატორო ხელისუფლება - ამ გარდატეხამ გზა გაუხსნა ფუჯივარას კლანის ახალ, უფრო დახვეწილ კულუარულ ოლიგარქიას.

საკვანძო სიტყვები: ასუკას ეპოქა, იშის ინციდენტი, ტაიკას რეფორმები, რიცურიოს სისტემა, სოგას კლანი.

VI საუკუნის მეორე ნახევარსა და VII საუკუნის დასაწყისში იამატოს სახელმწიფო, რომელსაც დღეს იაპონიის სახელით ვიცნობთ, უმნიშვნელოვანესი ისტორიული გარდატეხის ზღვარზე იდგა. ამ პერიოდს, რომელიც ისტორიოგრაფიაში ასუკას ეპოქის

[1] სახელითაა ცნობილი, ახასიათებდა მწვავე დაპირისპირებები ორ პოლიტიკურ ფლანგს შორის. ერთის მხრივ, არსებობდა ტრადიციული, არქაული საგვარეულო-კლანური სისტემა, სადაც ძალაუფლება გადანაწილებული იყო დიდგვაროვან ოჯახებზე, ეგრეთწოდებულ - უჯებს (氏) შორის, რომლებიც ფლობდნენ საკუთარ მიწას, ჰყავდათ დამოკიდებული მოსახლეობა და, ფაქტობრივად, მათი სისტემა „სახელმწიფო სახელმწიფოში" მოდელს წარმოადგენდა (Barnes, 2007:112). მეორე მხრივ კი, სულ უფრო მეტად იკვეთებოდა ცენტრალიზებული მონარქიის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რაც გულისხმობდა ძლიერი საიმპერატორო ხელისუფლების შექმნას კონტინენტური, კერძოდ კი ჩინური სახელმწიფოებრივი მოდელის მიხედვით (Farris, 1998:45).

ამ გარდამტეხ ეპოქაში წამყვანი როლი ითამაშა სოგას კლანმა, რომელმაც საოცარი პოლიტიკური ალღოს, ეკონომიკური რესურსების კონცენტრაციისა და ახალი რელიგიის, ბუდიზმის, აქტიური მხარდაჭერის წყალობით, საიმპერატორო კარზე უპრეცედენტო გავლენა მოიპოვა. სოგას საგვარეულოს მეთაურები ატარებდნენ ომის (臣), ანუ უმაღლესი მინისტრის ტიტულს და საქორწინო დიპლომატიის მეშვეობით, საკუთარი ქალიშვილების იმპერატორებზე დაქორწინებით, სრულად აკონტროლებდნენ ტახტის მემკვიდრეობის საკითხს. ძალაუფლებისთვის ბრძოლამ პიკს მიაღწია, როდესაც სოგა ნო უმაკომ, კლანის იმდროინდელი ლიდერი, ღიად დაუპირისპირდა საიმპერატორო კარს და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ 592 წელს მოაკვლევინა კიდეც იმპერატორი სუშუნი[2], რომელმაც სოგას კლანის გავლენებისაგან დამოუკიდებლობა სცადა (Aston, 1972:118).

სისხლიანი მოვლენების შემდეგ, საიმპერატორო კარზე სტაბილურობის ილუზიის შესაქმნელად და დაპირისპირებულ ძალთა შორის დროებითი ბალანსის

[1] ასუკას ეპოქა (იაპ. 飛鳥時代 – Asuka Jidai, 538-710 წწ.) იაპონიის ისტორიაში გარდამტეხი პერიოდია. ეპოქის სახელწოდება მომდინარეობს ასუკას რეგიონის (დღევანდელი ნარა) მიხედვით, რადგანაც პოლიტიკური ცენტრი მაშინ აქ მდებარეობდა. ამ პერიოდში ვრცელდება ბუდიზმი, საფუძველი ეყრება ჩინური მოდელის მიხედვით სახელმწიფოს ცენტრალიზაციას. ასუკას ხანაში გატარებულმა რეფორმებმა და კულტურულმა აყვავებამ სამუდამოდ შეცვალა იაპონიის პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურა.

[2] იმპერატორი სუშუნი (იაპ. 崇峻天皇 - Sushun-tennō) იაპონიას მართავდა 587–592 წლებში. იგი გახდა იაპონიის ისტორიაში იმ მცირერიცხოვან იმპერატორთაგან ერთ-ერთი, რომელიც პოლიტიკური მოტივით მოკლეს.

მისაღწევად, ტახტზე სუშუნის ნახევარ-და - დედოფალი სუიკო[3] (554-628 წწ.) ავიდა, რომელიც იაპონიის ისტორიაში პირველ ოფიციალურ ქალ მონარქად იქცა. სუიკო იყო სოგა ნო უმაკოს დისშვილი, რაც კლანს მშვიდად ყოფნის გარანტიას აძლევდა, თუმცა ახალმა მონარქმა სახელმწიფოებრივი სიბრძნე გამოიჩინა და თავის რეგენტად დანიშნა მისი ძმისშვილი, პრინცი შოტოკუ (593–622 წწ.), რომელიც ისტორიაში შოტოკუ ტაიშის სახელითაა ცნობილი (Como, 2008:74).

ამ ორმა ფიგურამ შეძლო გაეტარებინა პირველი მასშტაბური რეფორმები, რომლებიც შთაგონებული იყო ჩინეთის სუის დინასტიის მიღწევებით[4]. 603 წელს მათ შემოიღეს თორმეტი საფეხურის მქონე რანგობრივი სისტემა, რომელიც თეორიულად ითვალისწინებდა თანამდებობების გაცემას არა გვაროვნული პრივილეგიებით, არამედ პიროვნული ნიჭისა და დამსახურების მიხედვით. 604 წელს ამას მოჰყვა ცნობილი ჩვიდმეტმუხლიანი კონსტიტუცია, რომელიც წარმოადგენდა მორალურ, ეთიკურ და საკანონმდებლო დეკლარაციას, სადაც პირველად გაჟღერდა კონფუციანური პრინციპი იმის შესახებ, რომ ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ერთი სუვერენი, ხოლო დიდებულები მისი მორჩილი მსახურები უნდა ყოფილიყვნენ. მიუხედავად ამ მცდელობებისა, შოტოკუსა და სუიკოს რეფორმებმა ვერ შეძლო ძველი სოციალური სტრუქტურის ძირეული გარდაქმნა, რადგან საგვარეულო კლანები კვლავ ინარჩუნებდნენ თავიანთ მიწებსა და სამხედრო ძალას, ხოლო სოგას კლანის დიქტატურა მათ ზურგს უკან სულ უფრო ძლიერდებოდა (Friday, 2012:89).

დედოფალი სუიკოს გარდაცვალებამ 628 წელს ქვეყანა კვლავ მემკვიდრეობის მწვავე კრიზისის წინაშე დააყენა, რადგან მას პირდაპირი ანდერძი არ დაუტოვებია. საიმპერატორო კარი ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო, სადაც ერთი ნაწილი მხარს უჭერდა პრინცი შოტოკუს ნიჭიერ და ავტორიტეტის მქონე ვაჟს, პრინც იამაშირო ნო ოეს, ხოლო მეორე ფრაქცია მიემხრო იმპერატორი ბიდაცუს[5] შვილიშვილს, პრინც თამურას (Piggott, 1997:122). აღსანიშნავია, რომ სოგა ნო უმაკოს გარდაცვალების შემდეგ (626 წ.) კლანის ლიდერობა და უმაღლესი მინისტრის პოსტი ჩაიბარა მისმა შვილმა, სოგა ნო ემიშიმ. ემიშიმ კარგად იცოდა, რომ პრინცი შოტოკუს შთამომავალი გააგრძელებდა მამის მიერ წამოწყებულ საქმეს, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის ცენტრალიზაციისაკენ მიმართულ

[3] იაპონურ წყაროებში მოხსენიებულია როგორც იმპერატრიცა სუიკო (推古天皇 – Suiko-tennō), თუმცა ქართულ ლიტერატურაში ეს ტიტულატურა დამკვიდრებულია როგორც "დედოფალი", რადგან მას აბსოლუტური ძალაუფლება არ ჰქონია.

[4] სუეს დინასტია ხანმოკლე, მაგრამ პოლიტიკური კუთხით უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო ჩინეთის ისტორიაში. იარსება 581–618 წლებში.

[5] იმპერატორი ბიდაცუ (敏達天皇, 572–585 წწ) - მისი მმართველობის პერიოდი გამოირჩეოდა მწვავე რელიგიურ-პოლიტიკური დაპირისპირებით ბუდიზმის მომხრე სოგასა და ტრადიციების მომხრე მონონობეს კლანებს შორის. სუიკო ბიდაცუს ნახევარ-და და მეორე მეუღლე იყო, პრინცი თამურა კი ბიდაცუს შვილიშვილი იყო, რომელიც მას პირველი ცოლის შვილისგან ჰყავდა.

პოლიტიკასა და საფრთხეს შეუქმნიდა კლანის პრივილეგიებს, ამიტომ მან მთელი თავისი გავლენა, ინტრიგები და სამხედრო რესურსი გამოიყენა პრინცი თამურას მხარდასაჭერად, რომელიც საბოლოოდ ავიდა ტახტზე, როგორც იმპერატორ ჯომეი.

ჯომეის მმართველობის წლებში (629 – 641 წწ.) სოგას კლანის თავნებობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, ხოლო საიმპერატორო ხელისუფლება ნელ-ნელა სიმბოლური ხასიათის მატარებელი ხდებოდა. 641 წელს იმპერატორ ჯომეის გარდაცვალების შემდეგ, ემიშიმ კვლავ იგრძნო საფრთხე პრინცი იამაშირო ნო ოეს მხრიდან, რომელიც უბრალო ხალხსა და დიდებულებში დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ამიტომ, ძალაუფლების ვაკუუმი საკუთარი ინტერესების სასრგებლოდ რომ შეევსო, სოგა ნო ემიშიმ ტახტზე აიყვანა ჯომეის ქვრივი, ისტორიაში ცნობილი როგორც დედოფალი კოგიოკუ (642 – 661 წწ.). კოგიოკუს ტახტზე აყვანა იყო კლანის უმაღლესი პოლიტიკური ტრიუმფი, რადგან ახალი მონარქი სრულად იყო დამოკიდებული სოგას ნება-სურვილზე. სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა, როდესაც ასპარეზზე გამოვიდა ემიშის ამბიციური, დაუნდობელი და ძალაუფლებას მოწყურებული ვაჟი, სოგა ნო ირუკა, რომელმაც მამისგან, ფაქტობრივად, გადაიბარა სახელმწიფოს მართვის სადავეები (Kidder, 2007: 142). ირუკა აღარ კმაყოფილდებოდა ჩრდილში ყოფნით და დაიწყო ღია, დემონსტრაციული მოქმედებები საიმპერატორო რეგალიების მისატაცებლად. მან ასუკას ბორცვებზე თავისა და მამამისისთვის ააგო გრანდიოზული, ფორტიფიცირებული რეზიდენციები, რომელთაც, რომელთაც საიმპერატორო სასახლეების მსგავსად უწოდა მია[6], ხოლო თავის შვილებს მიანიჭა სამეფო უფლისწულთა ტიტულები. ირუკას ტირანიამ პიკს მიაღწია 643 წელს, როდესაც გადაწყვიტა საბოლოოდ მოესპო პრინცი შოტოკუს საგვარეულო ხაზი, რათა მომავალში ტახტზე ძლიერი მოწინააღმდეგის არსებობა გამოერიცხა. სოგას ერთგულმა ჯარებმა ალყა შემოარტყეს პრინც იამაშირო ნო ოეს რეზიდენციას იკარუგაში. პრინცმა, რომელსაც არ სურდა ქვეყანა მასშტაბურ სამოქალაქო ომში ჩაეთრია, უარი თქვა შეიარაღებულ წინააღმდეგობაზე და გაიქცა მთებში, თუმცა მალევე დაბრუნდა იკარუგა-დერას ტაძარში და თავის ოჯახთან ერთად თავი მოიკლა[7] (Aston, 1972: 182). ამ შემზარავმა ტრაგედიამ შეაძრწუნა იამატოს არისტოკრატია და თავად სოგა ნო ემიშიც კი, რომელიც მიხვდა, რომ მისი შვილის

[6] ამ კონტექსტში, სიტყვა მია (იაპ. 宮 — miya) ნიშნავს სასახლეს ან სავანეს(ტაძარს), რომელიც ტრადიციულად მხოლოდ საიმპერატორო ოჯახის წევრების რეზიდენციების აღსანიშნავად გამოიყენებოდა.

[7] იაპონურ კულტურაში დატყვევება და მტრის ხელით სიკვდილი უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა. პრინცმა აირჩია, მომკვდარიყო არა როგორც დევნილი მთებში, არამედ როგორც თავისუფალი და ღირსეული მმართველი წმინდა ადგილას - იკარუგას ტაძარში, რომელიც მამის, პრინცი შოტოკუს მიერ იყო აგებული და მისთვის სულიერ თავშესაფარს წარმოადგენდა.

რადიკალურმა ნაბიჯებმა კლანი სრული პოლიტიკური იზოლაციისა და საერო სიძულვილისთვის გაწირა.

სურ. 1.1 ნაკატომი ნო კამატარი, მოგვიანებით ფუჯივარა ნო კამატარი.

იკარუგაში დატრიალებულმა ტრაგედიამ ბიძგი მისცა საიმპერატორო კარს, ფარულად ჩამოეყალიბებინა სოგას კლანის წინააღმდეგ კონსოლიდირებული მოძრაობა. ამ მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახდა ნაკატომი ნო კამატარი (სურ. 1.1.), გავლენიანი არისტოკრატიული კლანის წარმომადგენელი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ინტელექტითა და პასუხისმგებელი იყო შინტოისტურ სახელმწიფოებრივ რიტუალებზე. კამატარი კარგად აცნობიერებდა, რომ სოგას ბატონობა საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ საიმპერატორო დინასტიას, არამედ მთლიანად ქვეყნის გადარჩენის საკითხს, რადგან რეგიონში მიმდინარე მოვლენები - ჩინეთში ძლიერი თანგის დინასტიის (618-907 წწ.) აღზევება და კორეის ნახევარკუნძულზე სამი სამეფოს, კოგურიოს, პექჩესა და სილას მწვავე სამხედრო კონფლიქტი - მოითხოვდა იამატოსგან სასწრაფო ცენტრალიზაციას და ერთიანი, ძლიერი თავდაცვისუნარიანი სახელმწიფოს შექმნას (Batten, 2006:62). კამატარი ეძებდა პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერს საიმპერატორო ოჯახის წევრებს შორის, ვინც შეძლებდა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას.

ასეთ ფიგურად იქცა პრინცი ნაკა ნო ოე, გარდაცვლილი იმპერატორი ჯომეისა და მოქმედი რეგენტ-დედოფლის კოგიოკუს ახალგაზრდა, ენერგიული და მაღალი პოლიტიკური იდეალების მქონე ვაჟი. მათი პირველი შეხვედრა, რომელიც იაპონურ ქრონიკებში ლეგენდის სახითაა შემონახული, მოხდა ასუკას ტაძარში გამართული კემარის[8] თამაშის დროს, როდესაც პრინცს ფეხსაცმელი გასძვრა, ხოლო კამატარიმ იგი მოკრძალებით მიაწოდა. ეს მომენტი იქცა მტკიცე პოლიტიკური კავშირის დასაწყისად. რისკის შესამცირებლად და სოგას ჯაშუშებისგან თავის დასაცავად, ნაკა ნო ოე და კამატარი ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს ასუკას გარეუბნებში, მთების კალთებზე, სადაც ისინი თითქოს კონფუციანურ პოლიტიკურ ტრაქტატებს სწავლობდნენ ჩინელი სწავლულების

[8] კემარი (იაპ. 蹴鞠- Kemari) - იაპონური ტრადიციული თამაში ბურთით, რომელიც ასუკას პერიოდში ჩინეთიდან შემოვიდა და ჰეიანის ეპოქაში განსაკუთრებით პოპულარული გახდა არისტოკრატიასა და საიმპერატორო კარზე. ამ თამაშის მიზანი არა ერთმანეთის დამარცხება, არამედ თანამშრომლობაა - მოთამაშეები წრეში დგებიან და ცდილობენ, ირმის ტყავისგან დამზადებული ბურთი ფეხის დარტყმებით მიწაზე შეუხებლად, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნონ ჰაერში.

ხელმძღვანელობით, რეალურად კი ამუშავებდნენ სახელმწიფო გადატრიალების დეტალურ გეგმასა და აწარმოებდნენ ფარულ მოლაპარაკებებს სხვა, შექმნილი ვითარებით უკმაყოფილო კლანებთან, მათ შორის სოგას საგვარეულოს ერთ-ერთ წარმომადგენელთან - სოგა ნო იშიკავა ნო მაროსთან[9], რათა შიგნიდან დაემარცხებინათ მტრის ბანაკი (Inoue, 1975:214).

შეთქმულებმა გეგმის სისრულეში მოსაყვანად შეარჩიეს 645 წლის 10 ივლისი,[10] დღე, როდესაც საიმპერატორო რეზიდენციაში, იტაბუკი ნო მიაში, დედოფალ კოგიოკუს თანდასწრებით უნდა გამართულიყო კორეის სამეფოების ელჩების მიღებისა და სამადლობელო წერილების წაკითხვის საზეიმო ცერემონია. ეს გარემოება იდეალური იყო, რადგან საიმპერატორო პროტოკოლი მკაცრად მოითხოვდა უმაღლესი მინისტრის, სოგა ნო ირუკას დასწრებასაც, რომელიც ჩვეულებრივ ყველგან საკუთარი მრავალრიცხოვანი და შეიარაღებული პირადი მცველების თანხლებით გადაადგილდებოდა. თუმცა ეს შემთხვევა გამორჩეული იმიტომ იყო, რომ დარბაზში შესვლისას ირუკა იძულებული იქნებოდა იარაღი დაეტოვებინა. კამატარიმ წინასწარ მოამზადა ერთგული მეომრები, ფარულად შეიტანა იარაღი სასახლეში, ჩაკეტა კომპლექსის ყველა ჭიშკარი და მოისყიდა საიმპერატორო დაცვის წევრები, რათა მათ ზედმეტი პრობლემა არ შეექმნათ. ამ მოვლენას ისტორიაში იშის ინციდენტის (იაპ.乙巳の変 - Isshi no Hen) სახელით იცნობენ.

გეგმის მიხედვით, როდესაც დიდებული იშიკავა ნო მარო დაიწყებდა ელჩების ოფიციალური დოკუმენტის წაკითხვას, ორი სპეციალურად შერჩეული მეომარი თავს უნდა დასხმოდნენ ირუკას. თუმცა, როდესაც გადამწყვეტი მომენტი დადგა, მკითხველს შიშისგან ხმა აუკანკალდა, ხოლო შემსრულებლები სოგას მრისხანე ავტორიტეტის წინაშე უძლურები აღმოჩნდნენ და ადგილიდან ვერ დაიძრნენ. სიტუაციის კრიტიკულობა, რაც შეთქმულების სრულ კრახს მოასწავებდა, პირველმა პრინცმა ნაკა ნო ოემ გააცნობიერა. მან პირადად იშიშვლა დამალული შუბი, შეიჭრა დარბაზის ცენტრში და პირველი მძიმე დარტყმები მიაყენა სოგა ნო ირუკას მხრისა და თავის არეში. დაჭრილი და სისხლმდინარე ირუკა ტახტზე მჯდომი დედოალ კოგიოკუს წინაშე ფერხთით დაეცა და სასოწარკვეთილი შეევედრა: „მე არავითარი დანაშაული არ მიძღვის სახელმწიფო

[9] სოგა ნო კურაიამადა ნო იშიკავა ნო მარო (Soga no Kurayamada no Ishikawa no Maro / 蘇我倉山田石川麻呂) - მიუხედავად იმისა, რომ მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 645 წლის იშის ინციდენტში, მისი ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა. 649 წელს ნახევარ-ძმამ მას პრინც ნაკა ნო ოეს წინააღმდეგ სახელმწიფო გადატრიალების მზადებაში დასწამა ცილი. დევნილმა დიდებულმა თავი იამადა-დერას ტაძარს შეაფარა, სადაც საკუთარი უდანაშაულობის ნიშნად სიცოცხლე ოჯახთან ერთად თვითმკვლელობით დაასრულა. მისი სიკვდილის შემდეგ, როდესაც სიმართლე გაირკვა, ცილისმწამებელი დასაჯეს, ხოლო კურაიამადას სახელი და ღირსება სრულად აღდგა.

[10] ჩინური მთვარის კალენდრის მიხედვით, თარიღი მე-6 თვის მე-12 დღეა (645 წლის 12 ივნისი).

წინაშე, გევედრებით, გამოიჩინეთ სამართალი!“. შეძრწუნებულმა კოგიოკუმ, რომელიც საერთოდ არ იყო საქმის კურსში, ჰკითხა თავის ვაჟს ამ ქმედების მიზეზი, რაზეც ნაკა ნო ოემ მტკიცედ უპასუხა, რომ ირუკას სურდა საიმპერატორო სახლის სრული განადგურება და ძალაუფლების უზურპაცია. კოგიოკუმ ვერ გაუძლო მის თვალწინ დატრიალებულ სისხლიან სცენას, წამოდგა, დარბაზი დატოვა და საქმე თავის შვილს მიანდო, რის შემდეგაც პრინცის ბრძანებით მეომრებმა იქვე, სასახლის ცენტრში ირუკას თავი მოჰკვეთეს (სურ. 1.2.). მისი სისხლით შეიღება სასახლის იატაკი, რაც იქცა ძველი, კლანური დიქტატურის დასასრულის სიმბოლოდ.

სურ. 1.2. სოგა ნო ირუკას მკვლელობა. ტონომინე ეწგის გრავნილი. ედოს პერიოდი (XVII-XIX ს.ს.)

თუმცა, ამ მკვლელობაზე უფრო მეტად, თანამედროვე ისტორიკოსებს მოსვენებას არ აძლევს ქრონიკა „ნიჰონ შოკიში“[11] დაცული დედოფალი კოგიოკუს (ან კლანის სხვა წევრის) სიტყვები - 「韓人殺鞍作臣 吾心痛矣」- „სოგა ნო ირუკა კორეელმა მოკლა. გული მტკივა“ (Nihon Shoki, 1959: ტ. II,:102). ეს ფრაზა საუკუნეების განმავლობაში იქცა ნამდვილ ისტორიულ თავსატეხად, ვინაიდან მკვლელობის უშუალო შემსრულებლები და ორგანიზატორები იაპონელი დიდგვაროვნები იყვნენ. ამ იდუმალი განცხადების ამოსახსნელად იაპონელმა და უცხოელმა მკვლევრებმა რამდენიმე საინტერესო, თუმცა ურთიერთგამომრიცხავი თეორია შეიმუშავეს (Farris, 1998:78). ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინტერპრეტაცია ამ სიტყვებს მეტაფორულად უდგება და მიიჩნევს, რომ ირუკა მოკლეს მისი კორეელებთან ზედმეტად მჭიდრო პოლიტიკური კავშირების გამო. სოგას კლანი ცნობილი იყო მატერიკიდან გადმოტანილი კულტურის, ბუდიზმისა და ტექნოლოგიების აქტიური მხარდაჭერით, რამაც შესაძლოა ტრადიციონალისტების რისხვა გამოიწვია. სხვა ვერსიით, ეს ფრაზა სინანულს გამოხატავს იმის გამო, რომ ირუკას მკვლელობის თავიდან აცილება სრულიად შესაძლებელი იქნებოდა, კორეელი ელჩები საერთოდ რომ არ მოეწვიათ სასახლეში, რადგან სწორედ მათმა ვიზიტმა შექმნა იდეალური პირობები შეთქმულების სისრულეში მოსაყვანად. არსებობს უფრო რადიკალური ვარაუდიც, რომლის

[11] „ნიჰონ შოკი“ (日本書紀 — „იაპონიის ქრონიკები“), რომელსაც ხშირად „ნიჰონგიდაც“ მოიხსენიებენ, არის იაპონიის ერთ-ერთი უძველესი, უმნიშვნელოვანესი და მოცულობითი ისტორიულ-მითოლოგიური ნაშრომი. იგი ოფიციალურად 720 წელს, ნარას პერიოდში დასრულდა პრინც ტონერის ხელმძღვანელობითა და სასამართლო მოხელეთა ჯგუფის (მათ შორის ფუჯივარა ნო ფუჰიტოს) მონაწილეობით.

მიხედვითაც, დარბაზში მყოფი კორეელი ელჩები სინამდვილეში ოფიციალური დიპლომატები კი არა, პრინცი ნაკა ნო ოეს მიერ დაქირავებული შეთქმულები იყვნენ, რომლებმაც ცერემონია მხოლოდ ნიღბად გამოიყენეს, რათა მსხვერპლთან ახლოს მიპარულიყვნენ (Kidder, 2007:165). ამავდროულად, მკვლევართა ნაწილი ცდილობს ფრაზის პირდაპირი მნიშვნელობა გაამართლოს და ეძებს ეთნიკურ კავშირებს მთავარ მოქმედ პირებსა და კორეის ნახევარკუნძულს შორის. ასე გაჩნდა თეორია, რომ თავად პრინცი ნაკა ნო ოე იყო კორეული წარმოშობის, თუმცა ისტორიულ ტექსტებში არსებული უამრავი შეუსაბამობისა და ქრონოლოგიური აცდენების გამო, მეცნიერების უმრავლესობა ამ ვერსიას სერიოზულად არ განიხილავს. გაცილებით მეტი პოპულარობით სარგებლობს ე.წ. „ტორაიჯინის თეორია“, რომელიც ვარაუდობს, რომ შეთქმულების მთავარი გმირი, ნაკატომი ნო კამატარი, სინამდვილეში კორეიდან გადმოსახლებული საგვარეულოს წარმომადგენელი იყო და სწორედ მან ითამაშა გადამწყვეტი როლი ირუკას განადგურებაში (Hong, 2006:104). მიუხედავად ასეთი მრავალფეროვანი მიდგომებისა და მრავალწლიანი არქივების კვლევისა, „ნიჰონ შოკის“ ეს კონკრეტული მონაკვეთი დღემდე ინარჩუნებს თავის საიდუმლოებასა და მისი ზუსტი ისტორიული კონტექსტი კვლავ გაურკვეველი რჩება.

ირუკას მკვლელობის შემდეგ, ნაკა ნო ოე და ნაკატომი ნო კამატარი სასწრაფოდ გადავიდნენ ასუკა-დერას ფორტიფიცირებულ ტაძარში, სადაც დაიკავეს თავდაცვითი პოზიციები, რადგან ელოდნენ სოგას მომხრეთა მყისიერ სამხედრო საპასუხო რეაქციას. შვილის მკვლელობისათვის შურის საძიებლად, სოგა ნო ემიში, რომელიც საკუთარ რეზიდენციაში იმყოფებოდა, ცდილობდა ჯარების მობილიზებას, თუმცა პოლიტიკური რეალობა რადიკალურად შეცვლილიყო. როდესაც სოგას მოკავშირეებმა და დაქირავებულმა მეომრებმა ნახეს საიმპერატორო ოჯახის მხრიდან ასეთი სასტიკი ნაბიჯი ირუკას მკვლელობის სახით, მათ მასობრივად დატოვეს ემიშის ბანაკი და პრინცის მხარეს გადავიდნენ. გააცნობიერა რა სრული კრახი და საკუთარი უმწეობა, ემიშიმ თავად წაუკიდა ცეცხლი საკუთარ სასახლეს, სადაც მასთან ერთად ფიზიკურად განადგურდა უამრავი ძვირფასი სახელმწიფო დოკუმენტი და ისტორიული ქრონიკა, რომლებიც მანამდე პრინც შოტოკუს მიერ იყო შედგენილი (Aston, 1972:190). სოგა ნო ემიშიმ ცეცხლმოკიდებულ სასახლეში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ხოლო სოგას კლანის წამყვანი ხაზი სრულად აღიგავა პირისაგან მიწისა. ამ სისხლიანი მოვლენებიდან სულ რაღაც სამ დღეში, იმპერატრიცა კოგიოკუმ, რომელიც მორალურად და ფსიქოლოგიურად განადგურებული იყო მის თვალწინ მომხდარი მოვლენებით, მიიღო იაპონიის ისტორიაში უპრეცედენტო გადაწყვეტილება და გადადგა ტახტიდან, რითაც საფუძველი ჩაუყარა ტახტიდან გადადგომის (აბდიკაცია) ტრადიციას. პრინცმა ნაკა ნო ოემ, შორსმჭვრეტელური

მოსაზრებებით, ამ ეტაპზე უარი თქვა გვირგვინზე და ახალ იმპერატორად დანიშნა თავისი ბიძა, იმპერატორი კოტოკუ, რათა თავიდან აეცილებინა ბრალდებები ტახტის უზურპაციისათვის ბრძოლაში, თავად კი გახდა მემკვიდრე უფლისწული და რეალური პოლიტიკის ერთპიროვნული გამტარებელი (Piggott, 1997:143). ახალი ხელისუფლების მოსვლიდან პირველივე დღეებში, ჩინური იმპერიული ტრადიციის მიხედვით, შემოღებულ იქნა იაპონიის ისტორიაში პირველი ოფიციალური დროთა აღრიცხვის ეპოქის სახელი, ანუ ნენგო - ტაიკა, რაც ნიშნავს დიდ რეფორმას, რითაც ოფიციალურად გამოცხადდა ახალი სახელმწიფოებრივი ერის დასაწყისი.

646 წლის დამდეგს გამოქვეყნდა ახალი საიმპერატორო ედიქტი რეფორმების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა ძველი კლანური სისტემის სრულ მოშლასა და ჩინეთის თანგის დინასტიის სტრუქტურაზე დაფუძნებული ცენტრალიზებული, სამართლებრივი სახელმწიფოს, ე.წ. „რიცურიოს სისტემის"[12] შექმნას (Asakawa, 1903:154). რეფორმების პირველი და ყველაზე რადიკალური პრინციპი იყო კოჩი-კომინის კონცეფცია, რაც ნიშნავს სახელმწიფო მიწასა და ხალხს. ამ ბრძანებულებით სრულად გაუქმდა მიწებისა და გლეხების კლანური, კერძო საკუთრება. ყოველი მტკაველი მიწა და მასზე მცხოვრები მოსახლეობა გამოცხადდა იმპერატორის პირდაპირ და ექსკლუზიურ საკუთრებად, ხოლო კლანის ბელადებს ჩამოერთვათ მათი ტრადიციული ეკონომიკური ბაზისი. ამას მოჰყვა ჰანდენ შუჯუ ნო ჰოს (班田収授法), ანუ მიწების პერიოდული განაწილების სისტემის შემოღება. მოსახლეობის საყოველთაო აღწერისა და სპეციალური საკადასტრო სისტემის შექმნის საფუძველზე, სახელმწიფო ყოველ ექვს წელიწადში ერთხელ თანაბრად ანაწილებდა სახნავ-სათეს ნაკვეთებს გლეხებზე სიცოცხლის მანძილზე მფლობელობაში. მიწის ნაკვეთს იღებდნენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალებიც, გარკვეული პროპორციით[13], თუმცა ამ მიწის გაყიდვა, გაჩუქება ან ანდერძით გადაცემა მკაცრად იკრძალებოდა, რადგან გლეხის გარდაცვალების შემდეგ მიწა კვლავ სახელმწიფო ფონდს უბრუნდებოდა. ეს სისტემა სრულიად გამორიცხავდა კლანების მიერ ეკონომიკური ძალაუფლების ხელახალ აღმოცენებას.

ეკონომიკური რეფორმის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა სო-იო-ჩოს (租庸調) სახელით ცნობილი ერთიანი საგადასახადო სისტემა, რომელმაც შეცვალა

[12] რიცურიოს სისტემას (律令制 - Ritsuryō-sei) საფუძველი ჩაეყარა 645 წლის ტაიკას რეფორმებით, თუმცა მისი სრული იურიდიული გაფორმება მოხდა ტაიჰოს კოდექსით (大宝律令 - Taihō-ritsuryō, 701 წ.) და მოგვიანებით იოროს კოდექსით (養老律令 - Yōrō-ritsuryō, 718 წ.). ამ სისტემამ ოქროს ხანას ნარასა და ადრეულ ჰეიანის პერიოდებში მიაღწია.

[13] გლეხებისათვის მიწის განაწილების ზუსტი პროპორცია ასეთი იყო - მამაკაცები (თავისუფალი მოქალაქეები), იღებდნენ 2 ტანს (段) მიწას. ქალები (თავისუფალი მოქალაქეები), იღებდნენ მამაკაცის წილის 2/3 - ს, რაც შეადგენდა 1 ტანსა და 120 ბუს (ვინაიდან 1 ტანი = 360 ბუს, ორ მესამედი ზუსტად 240 ბუ იყო, ანუ 1 ტანი და 240 ბუ - ძველ იაპონურ საზომ სისტემაში). მარტივად რომ ვთქვათ, ქალის წილი ზუსტად მამაკაცის წილის 2/3 იყო.

ძველი, ქაოტური კლანური ხარკები. გადასახადი დაიყო სამ კონკრეტულ კატეგორიად - სო წარმოადგენდა მიწის გადასახადს, რაც გულისხმობდა აღებული ბრინჯის მოსავლის გარკვეული მცირე პროცენტის სახელმწიფოსთვის გადაცემას, იო - იყო შრომითი ბეგარა, რომელიც ავალდებულებდა გლეხს წელიწადში გარკვეული დღეების განმავლობაში მუშაობას სახელმწიფო მშენებლობებზე ან სამხედრო სამსახურის გაწევას, ხოლო მისი გამოსყიდვა შესაძლებელი იყო ბამბის (ან კანაფის) ქსოვილით, ჩო - კი გულისხმობდა რეგიონულ გადასახადს, რომლის დროსაც მოსახლეობას დედაქალაქში უნდა გაეგზავნა ადგილობრივი სახელოსნო ნაწარმი, აბრეშუმი, თევზი, მარილი ან სხვა საჭირო პროდუქტი (Asakawa, 1903:210).

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ქვეყნის ყოფილი კლანური სისტემა შეიცვალა მკაცრად სტრუქტურიზებული სისტემით. ტერიტორია დაიყო პროვინციებად, რომელთაც კუნი (國 / 国) ეწოდებოდა, პროვინციები - ოლქებად, ანუ გორებად, ხოლო ოლქები - სოფლებად, რომელთაც სატო (里)[14] ეწოდებოდა (Batten, 2006:88). კლანის ყოფილი ლიდერები, რომლებიც ახალ ხელისუფლებასთან ლოიალობით გამოირჩეოდნენ, დაინიშნენ ადგილობრივი ოლქების მმართველებად, თუმცა ისინი უკვე აღარ იყვნენ დამოუკიდებელი ბატონები, არამედ იქცნენ საიმპერატორო კარის ჩვეულებრივ მოხელეებად, რომლებიც იღებდნენ ხელფასს ცენტრიდან და სრულად ემორჩილებოდნენ დედაქალაქიდან გამოგზავნილ გუბერნატორებს.

სურ. 1.3. იმპერატორი ტენჯი

ტაიკას გადატრიალების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და პარადოქსული შედეგი იყო ახალი პოლიტიკური ძალის, ფუჯივარას კლანის აღზევება, რომელმაც მომდევნო საუკუნეებში სრულიად შეცვალა ქვეყნის მართვის სპეციფიკა. ნაკატომი ნო კამატარი, რომელიც იყო რეფორმების მთავარი იდეოლოგი და პრინც ნაკა ნო ოეს უერთგულესი მეგობარი, სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა უდიდეს გავლენას სახელმწიფო საქმეებზე, მიუხედავად იმისა, რომ თავად ყოველთვის ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა. 669 წელს, როდესაც კამატარი სიკვდილის პირას იყო, უკვე იმპერატორმა ტენჯიმ (661 – 672 წწ. სურ. 1.3),

[14] წესის მიხედვით, ყოველი 1 სატო (里) შედგებოდა ზუსტად 50 კომლისგან / ოჯახისგან (戸 - კო). თითოეულ ასეთ სოფელს სათავეში ედგა მამასახლისი, რომელსაც სატოოსა (里長) უწოდებდნენ. მისი მთავარი მოვალეობა მოსახლეობის აღწერის სიზუსტის კონტროლი, მიწების სამართლიანი განაწილება და გადასახადების დროული აკრეფა იყო. მოგვიანებით, ადმინისტრაციული რეფორმების განვითარებასთან ერთად, სოფლის აღსანიშნავად უფრო ხშირად დამკვიდრდა იეროგლიფი 郷 ან 村.

რომელიც იყო იგივე ყოფილი პრინცი ნაკა ნო ოე,[15] პირადად მოინახულა თავისი მეგობარი და მისი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი დამსახურებისთვის უბოძა უმაღლესი სახელმწიფო რანგი და ახალი, საპატიო საგვარეულო გვარი - ფუჯივარა (藤原氏), რაც ნიშნავს გლიცინიების ველს, იმ ადგილის აღსანიშნავად, სადაც შეთქმულები პირველად ფარულად იკრიბებოდნენ.

კამატარის გარდაცვალების შემდეგ, მისმა შვილმა, ფუჯივარა ნო ფუჰიტომ, გამოიჩინა საოცარი ნიჭი და განაგრძო მამის გზა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო საკანონმდებლო რეფორმების დასრულებაში, კერძოდ 701 წლის ტაიჰოს კოდექსის შემუშავებაში და საფუძველი ჩაუყარა ფუჯივარას კლანის საქორწინო სტრატეგიას საიმპერატორო ოჯახთან. მომდევნო, ჰეიანის ეპოქაში, ფუჯივარას საგვარეულო იქცა იაპონიის აბსოლუტურ მმართველად, რომელიც მოქმედებას ისევ კულუარებიდან განარგძობდა. მათ სრულყოფილებამდე მიიყვანეს რეგენტობის ინსტიტუტები, რომელთაც სეშო (摂政) და კანპაკუ (関白) ეწოდებოდა (Piggott, 1997:198). ამ სისტემის მიხედვით, ფუჯივარას მეთაურები მართავდნენ ქვეყანას არასრულწლოვანი ან ზრდასრული იმპერატორების სახელით, რომლებიც მათივე ქალიშვილების შვილები, ანუ მათი შვილიშვილები იყვნენ. ამრიგად, ისტორიული ირონიით, გადატრიალებამ, რომელიც მიზნად ისახავდა სოგას კლანის ტირანიის მოსპობას და საიმპერატორო ხელისუფლების აბსოლუტურ კონსოლიდაციას, საფუძველი ჩაუყარა ახალ, გაცილებით უფრო დახვეწილ, ძლიერ და ხანგრძლივ კლანურ ოლიგარქიას, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში კვლავ ჩრდილში მოაქცია მონარქის რეალური ძალაუფლება.

ტაიკას გადატრიალება და მასზე დაფუძნებული სტრუქტურული რეფორმები არ ყოფილა უბრალო დინასტიური შუღლი, მორიგი სასახლის ინტრიგა ან ბანალური პოლიტიკური მკვლელობა ასუკას პერიოდის იაპონიაში. ეს იყო ღრმა, გარდამტეხი რევოლუციური პროცესი ზემოდან, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა იაპონური სახელმწიფოებრიობის, კულტურისა და სამართლებრივი აზროვნების განვითარების ვექტორი მრავალი საუკუნის მანძილზე. სოგა ნო ირუკას ლიკვიდაციამ იტაბუკი ნო მიას სასახლის დარბაზში დაასრულა არქაული კლანური ფრაგმენტაციის ეპოქა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის მთლიანობასა და სუვერენიტეტს გარე საფრთხეების ფონზე. ტაიკას რეფორმების

[15] მას შემდეგ, რაც იმპერატორი კოტოკუ 654 წელს გარდაიცვალა, სამეფო კარზე ისევ დაიძაბა სიტუაცია მემკვიდრის გარშემო. პრინცმა ნაკა ნო ოემ კვლავ ამჯობინა, რომ თავად ჩრდილში დარჩენილიყო და რეფორმები გაეგრძელებინა. ამიტომ, მოხდა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგმა - ტახტზე ხელახლა აიყვანეს ყოფილი დედოფალი კოგიოკუ, რომელმაც კორონაციის შემდეგ ახალი სახელი - საიმეი მიიღო. იგი ქვეყანას 661 წლამდე მართავდა და უფრო აქტიურად ერეოდა პოლიტიკურ საქმიანობებში. 668 წლის იანვარში, საიმეის (კოგიუკო) გარდაცვალებიდან თითქმის 7 წლის თავზე, პრინცი ნაკა ნო ოე ოფიციალურად ავიდა ტახტზე და იაპონური ტრადიციის მიხედვით მიიღო იმპერატორ ტენჯის (天智天皇) სახელი.

წყალობით, იამატომ შეძლო კონტინენტური ჩინური ცივილიზაციის უმდიდრესი გამოცდილების შემოქმედებითი ადაპტაცია, შექმნა მყარი და ეფექტური ბიუროკრატიული აპარატი, მოაწესრიგა საგადასახადო და მიწათმფლობელობის ურთიერთობები და ჩამოყალიბდა როგორც კლასიკური იმპერია შორეულ აღმოსავლეთში. მიუხედავად იმისა, რომ საიმპერატორო ხელისუფლებას მოგვიანებით კვლავ მოუწია რეალური ძალაუფლების დათმობა ჯერ ფუჯივარას არისტოკრატიისთვის და შემდგომში სამხედრო შოგუნატისთვის, ტაიკას ეპოქაში შექმნილი იდეოლოგია იმის შესახებ, რომ იმპერატორი არის ეროვნული იდენტობის, კულტურული უწყვეტობისა და უზენაესი სამართლებრივი ლეგიტიმურობის ერთადერთი და ხელშეუხებელი წყარო, იაპონიის ისტორიის საყრდენ ბოძად დარჩა. 645 წლის 10 ივლისის მოვლენებმა და საიმპერატორო ტაძარში დაღვრილმა სისხლმა დასაბამი მისცა სრულიად ახალ იაპონიას, რომელმაც უცხოური გავლენების მიღებისა და სინთეზის პირობებშიც კი შეძლო საკუთარი უნიკალური თვითმყოფადობისა და სახელმწიფოებრივი ხერხემლის შენარჩუნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) გელაშვილი, ნ. (2024). იაპონური კულტურის ისტორიული რეალიები. თბილისი, „უნივერსალი“.
2) Asakawa, K. (1903). The Early Institutional Life of Japan: A Study in the Reform of 645 A.D. Tokyo: Shueisha.
3) Aston, W. G. (Trans.). (1972). Nihongi: Chronicles of Japan from the Earliest Times to A.D. 697. Tuttle Publishing.
4) Barnes, G. L. (2007). State Formation in Japan: Emergence of a 4th-Century Ruling Elite. Routledge.
5) Batten, B. L. (2006). Gateway to Japan: Hakata in War and Peace, 500-1300. University of Hawai'i Press.
6) Como, M. I. (2008). Shotoku: Ethnicity, Ritual, and Violence in the Formation of Japanese Buddhism. Oxford University Press.
7) Farris, W. W. (1998). Sacred Texts and Buried Treasures: Issues in the Historical Archaeology of Ancient Japan. University of Hawai'i Press.
8) Hong, W. (2006). Jiading and the Paekche Kingdom: A Study of Toraijin Connections. Kudara International.
9) Inoue, M. (1975). The Ritsuryō System in Japan. Acta Asiatica, 28, 1-24.
10) Kidder, J. E. (2007). The Lucky Seventh: Early Japan, Asuka to Nara Periods. International Christian University.
11) Nihon Shoki (日本書紀). (1959). Sakamoto Tarō et al. (Eds.), Iwanami Shoten.
12) Piggott, J. R. (1997). The Emergence of Japanese Kingship. Stanford University Press.
13) 井上光貞. (1965). 日本古代国家の研究. 岩波書店.
14) 倉本一宏. (2015). 蘇ガ氏の興亡と乙巳の変. 吉川弘文館.
15) 吉田晶. (1992). 飛鳥の朝廷と律令国家. 吉川弘文館.
16) 坂本太郎. (1972). 大化改新と律令制. 吉川弘文館.
17) 家永三郎. (1966). 聖徳太子研究. 三一書房.
18) 木下正史. (2001). 飛鳥の朝廷と王権の展開. 吉川弘文館.
19) 遠山美都男. (2001). 大化改新：乙巳の変の心理戦. 中央公論新社.
20) 鈴木靖民. (2018). 乙巳の変と大化改新の史的展開. 文献出版.
21) 門脇禎二. (1968). 大化改新論再検討. 吉川弘文館.

ეთერ ლომიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სინოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

კატა-თაგვობანა ჩინურად: როგორ უპირისპირდება უბრალო მიმი სახელმწიფო ცენზურას

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ჩინურ ინტერნეტ სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საკითხი - ჩინური ინტერნეტის საიდუმლო, კოდური ენა. გამომდინარე იქიდან, რომ ჩინეთში სახელმწიფო ცენზურა მკაცრად აკონტროლებს ინტერნეტსა და ისეთ ონლაინ პლატფორმებს, როგორიცაა: Google, Youtube, Tiktok, Facebook, საზოგადოების „ახალგაზრდა ფენაში“ გაჩნდა ძლიერი პროტესტი. მათ გადაწყვიტეს „პარტიზანული ბრძოლა“ ცენზურასთან და შექმნეს მეტად მარტივი, ლოგიკური და გარეშე პირთათვის გაუგებარი საიდუმლო ენა, რომელიც უხვად შეიცავს სახელმწიფოსადმი უარყოფითი დამოკიდებულების ამსახველ სიტყვებს, კოდურ ფრაზებს, ციფრებისგან შექმნილ კოდებს. ვინაიდან და რადგანაც, ჩინური ცენზურა ე.წ. “დიდი ცეცხლოვანი კედლის“ (The Great Farewell) საშუალებით ეძებს მისთვის მიუღებელ კომენტარებს, მოსაზრებებსა და სტატიებს, ეს საიდუმლო ენა, საკუთარი შეფარული კოდებით სრულიად რჩება ამ „კედლის“ მიღმა. სტატიაში წარმოდგენილი იქნება ზუსტად ის კოდური სიტყვები, ფრაზები თუ ციფრები, რომლებიც ე.წ. „ნეტიზენების“ მთავარ იარაღს წარმოადგენს ცენზურის წინააღმდეგ. ეს ერთგვარი „კატა-თაგვობანა“ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის აჩვენებს, რომ ენა საუკეთესო საბრძოლო იარაღია, რომელიც ხშირად რჩება ციფრული რობოტებისა და ალგორითმების ყურადღების მიღმა. როგორც თანამედროვე კვლევები აჩვენებს, მსგავსი ჟღერადობის მქონე, ერთი შეხედვით უბრალო და უსაფრთხო სიტყვები, სერიოზულ იარაღადაა ქცეული პოლიტიკური პროტესტისა და პოლიტიკური აზრის გამოხატვისათვის.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ცენზურა, ნეტიზენები, სოციალური ქსელები, თანამედროვე ჩინეთი

XXI საუკუნეში ინტერნეტ-სივრცე სოციალური პლატფორმებითურთ ადამიანების ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. „ამ პლატფორმების გამოყენებით საზოგადოებას ეძლევა საშუალება, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი, დაწეროს კომენტარი და დააფიქსიროს დამოკიდებულება ნებისმიერი სფეროს მიმართულებით - იქნება ეს პოლიტიკა, სოციალური საკითხები, კულტურა თუ სხვ. თუმცა, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ეს უნივერსალური ხასიათის პროცესი არაა. არსებობს გამონაკლისი სახელმწიფოებიც, სადაც ცენზურა კარგად ასრულებს თავის „ფუნქციას“. ეს გამონაკლისია ჩინეთი. ჩინეთის ცენზურა, იგივე „დიდი ცეცხლოვანი კედელი“ (The Great Farewell), ჩინური ინტერნეტსივრცის დამცველად გვევლინება. ნებისმიერი ღიად გამოხატული, სახელმწიფოსათვის მიუღებელი პოლიტიკური აზრი, პოსტი, თუ სხვა ფორმით გადმოცემული შეხედულება, ქრება და ავტომატურად იშლება „კედლის“ მიერ. ცენზურა ტოტალურად აკონტროლებს ინტერნეტსივრცის ყველა ნაწილს. ამგვარმა მკაცრმა სისტემამ, ჩინელ ინტერნეტმომხმარებლებში, ე.წ. „ნეტიზენებში“,დიდი მღელვარება გამოიწვია და ბიძგი მისცა შეექმნათ საოცრად კრეატიული საიდუმლო ენა, რომელიც დაეყრდნობოდა უწყინარ იუმორისტულ გამონათქვამებს, მიმებსა და ციფრებისაგან შექმნილ კოდებს. ისინი, ერთი შეხედვით, უსაფრთხო და მეტად უწყინარია, თუმცა მათო რეალური მნიშვნელობის ამბავი კარგად უწყიან „ნეტიზენებმა“. ამ იუმორში სახელმწიფოსადმი დიდი პროტესტი და შეფარული კრიტიკა იმალება, რაც ცენზურის მიღმა რჩება, შეუმჩნეველია და მეტად მოსახერხებელი საზოგადოებისათვის. სასტიაში აღნიშნულია მექანიზმი ამ საიდუმლო ინტერნეტენის მუშაობისა და ის, თუ როგორ ახერხებენ „ნეტიზენები“ კომპიუტერული პროგრამების მოტყუებას აზრს მოკლებული იუმორის საშუალებით. თუმცა, უშუალოდ საკვლევი თემის განხილვამდე, უნდა დაისვას ერთი საკვანძო კითხვა: რატომ არის მაინცდამაინც ჩინური ენა ხელსაყრელი ამგვარი ინტერნეტის კოდური ენისათვის? პასუხი მეტად მარტივია. კერძოდ, ჩინურ ენაში უამრავი სიტყვაა, რომლების ჟღერადობით ემსგავსება ერთმანეთს, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობითა და აღმნიშვნელი იეროგლიფით ხასიათდება. ლინგვისტიკის სფეროში ეს მოვლენა ჰომოფონიად მოიხსენიება. საქმე ისაა, რომ კომპიუტერული რობოტები და ალგორითმები, ისე არიან მოწყობილნი, რომ ისინი ინტერნეტსივრცეში მხოლოდ აკრძალულ იეროგლიფებს ეძებენ. ცნობილია, რომ მათ მიერ ხშირად გამოყენებული სიტყვაა „რევოლუცია“, „პროტესტი“ და სხვადასხვა პოლიტიკური პირის სახელი (Link, 2002:43). თუ „ნეტიზენი“ ზემოაღნიშნულ სიტყვებს გამოიყენებს, ცენზურა მას ავტომატურად გააქრობს. მაგრამ მსგავსი ჟღერადობის მქონე სხვა სიტყვის გამოყენებისას, იგი

უვნებელი დარჩება (Meng, 2020:112). ინტერნეტ-მკითხველი კი გაუჭირვებლად ამოიცნობს იეროგლიფის კონტექსტს და გამოყენების მიზანს. ამგვარი დამოკიდებულება სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის მართლაც ემსგავსება აღნიშნულ კატა-თაგვობანას თამაშს. ეს თამაში ასე გამოიყურება: ნეტიზენები იგონებენ კოდს, "რომელიც მალევე ხდება პოპულარული, საზოგადოების მხრიდან კი ხდება ატაცება, რა დროსაც, ცენზურა აქტიურდება, შიფრავს კოდს და ფილტრში ამატებს, კოდი იბლოკება, თუმცა ნეტიზენები კიდევ უფრო რთულ ალტერნატივას ქმნიან ახალი კოდის სახით.

შემდეგი საკვანძო საკითხია ის ყველაზე გავრცელებული საიდუმლო კოდები, რომლებიც მასობრივად გამოიყენება ცენზურის წინააღმდეგ და პოლიტიკური ვითარების გასაკრიტიკებლად. დავიწყოთ იქიდან, რომ ჩინეთმა უახლოეს წარსულში ახალი ლოზუნგის იდეა წამოაყენა, რომ ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს ახალი „ჰარმონიული საზოგადოება“. ეს ლოზუნგი ინტერნეტში კი იმას გულისხმობდა, რომ ცენზურა საერთოდ ყველაფერს წაშლიდა აღნიშნული „ჰარმონიის“ სახელით. ჩინურ საზოგადოებაში ამასთან დაკავშირებით იუმორისტული გამოთქმაც გაჩნდა, „If your post has been deleted, you had been harmonized“ (თუ შენი პოსტი წაშალეს, შენც მოგიწია ჰარმონიზებამ) (Yang, 2014: 88). სიტყვა „ჰარმონიზაციაც“ ამის გამო ცენზურის ფილტრებში მოექცა, საპასუხოდ „ნეტიზენებმა“ აღნიშნული ტერმინი მსგავსი ჟღერადობის მქონე ტერმინით შეცვალეს. „ჰარმონია“ ჟღერადობით ჩინურში გავს სიტყვა „მდინარის კიბორჩხალას“ . თუ ჩინელი „ნეტიზენი“ ინტერნეტში განათავსებს, რომ „My blog has been invaded by crawdads“ (ჩემს ბლოგს კიბორჩხალები შეესივნენ), ყველა „ნეტიზენი“ ადვილად მიხვდება, რომ აქ ცენზურის მიერ წაშლილი პოსტებია ნაგულისხმევი (Yang, 2014: 89).“მდინარის კიბორჩხალა“ ამრიგად ჩინურ ინტერნეტსივრცეში ჩინეთის ცენზურის მუშაობის სიმბოლოდ და ამავდროულად პოლიტიკური ხასიათის მქონე ირონიულ მიმად იქცა. შემდეგი პოპულარული მიმია ე.წ. „ბალახის-ტალახის ცხენი“, რომელიც ჩინურ ინერნეტსივრცეში საყვარელ გმირად იქცა. საქმე ისაა, რომ სიტყვის ჩინური ჟღერადობა (cǎonímǎ) ემსგავსება ერთ-ერთ ყველაზე უხეშ გინებას ჩინეთში. როდესაც ცენზურამ დაიწყო ამგვარი ვულგარული ლექსიკის დაბლოკვა ინტერნეტში, „ნეტიზენებმა“ დაიწყეს ზემოაღნიშნულ „ბალახის-ტალახის ცხენზე“ ვიდეოების შექმნა და გამოთქმების შეთხზვა (Li & Zhang, 2017 :204). ინტერნეტის ალგორითმებისთვის ეს უბრალოდ ვიდეოებია ცხოველებზე, მაგრამ სინამდვილეში ძალიან უხეში და ვულგარული პროტესტია სახელმწიფო ცენზურის წინააღმდეგ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გარდა პოლიტიკური ლიდერებისა და პირების სახელებისა, საპროტესტო განცხადებებისა და რევოლუციის მსგავსი სიტყვებისა, არსებობს ისეთი თემებიც, რომელთა ხსენებაც სასტიკადაა აკრძალული ჩინურ ინტერნეტსივრცეში. ერთ-

ერთი ასეთი ფაქტია 1989 წლის 4 ივნისს მომხდარი ტიანანმენის მოედნის ტრაგედია. „4 ივნისი“ ჩინურ ინტერნეტში არასდროს არ მოიძებნება, იგი უბრალოდ გამქრალია ცენზურის მიერ. რომ მიმოვიხილოთ ტრაგედია, ეს იყო სტუდენტების დემონსტრაციების სერია ჩინეთში პოლიტიკური რეფორმების, სიტყვისა და პრესის თავისუფლების, კორუფციის აღმოფხვრის გზებისა და ქვეყნის „დემოკრატიზაციის“ მოთხოვნებით. ეს დემონსტრაციები ხელისუფლებამ, 1989 წლის 3-4 ივნისს ძალის გამოყენებით ჩაახშო (Tabula, 2025). ამ მნიშვნელოვანი მოვლენის კოლექტიურ მეხსიერებაში სამუდამოდ დასაბეჭდად ჩინური საზოგადოების ახალგაზრდა ნაწილმა მათემატიკურ კოდურ სისტემას მიმართა. ინტერნეტში მათ შექმნეს ტერმინი „35 მაისი“ (Tai, 2015: 142), (რადგან მაისში 31 დღეა და 31 მაისს მიმატებული 4, გვაძლევს 4 ივნისს). რა თქმა უნდა, კომპიუტერული პროგრამები ამ ლოგიკურ კოდს ვერ შიფრავენ და, შესაბამისად, ვერც აქრობენ, თუმცა აღნიშნული თარიღი საუკეთესო გზაა საზოგადოებისათვის, არ დაივიწყოს ის ნიადაგი, რაზეც დგას მათი იდენტობა და ცხოვრება. ეს მათემატიკური თამაში, სახელმწიფო ცენზურის წინააღმდეგ მიმართული, ერთგვარი გზაა, არ დაივიწყოს ხალხმა საერთო ისტორია, პატივისგება სახელოვანი ადამიანებისა და ღირსეულად დაღუპულებისა.

ბრძოლა ჩინურ სახელმწიფოსა და „ნეტიზენებს“ შორის კვლავ გრძელდება, ეს უბრალო, ერთჯერადი ხუმრობა არაა, იგი მუდმივი, ცოცხალი პროცესია, დაუსრულებელი ციკლია. როგორც კი ინტერნეტში პოპულარიზდება ახალი კოდური ფრაზები და სიტყვები, სახელმწიფო ცენზურა იწყებს ამუშავებას და დაბლოკვას ამ კოდებისა. საპასუხოდ ახალი, მეტაფორული და მეტად რთული კოდების შექმნის ტენდენცია იღვიძებს ახალგაზრდა „ნეტიზენებში“[1]. ეს პროცესი იმის აშკარა მაჩვენებელია, რომ ადამიანის გონებრივი მექანიზმები ყოველთვის წინ უსწრებენ კომპიუტერულ ალგორითმებს. ადამიანური გონება, იუმორის ნიჭით დაჯილდოებული, ყოველთვის იპოვის გზას პროგრამების მოსატყუებლად, რომელთაც არც ირონიის უნარი აქვთ და არც იუმორის გრძნობა. და, გარდა იმისა, რომ ადამიანის ტვინის უპირატესობა იკვეთება დაპროგრამებულ ტვინზე, ჩინური ინტერნეტის საიდუმლო ენა ერთობის განცდასაც აჩენს „ნეტიზენებში“, რაც მათ ლოზუნგშიც კარგად ჩანს: Since we all know this secret, we are on the same side (რადგან ეს საიდუმლო ჩვენ ყველამ ვიცით, ჩვენ ერთ მხარეს ვართ).

რომ შევაჯამოთ, ჩინური ინტერნეტის კოდური ენა აშკარა მაგალითია იმისა, რომ ტექნოლოგიურ საკონტროლო მექანიზმებსა და „ციფრულ რეპრესიებს“

[1] ბოლო პერიოდში სახელმწიფო ისეთი ალგორითმების შექმნას ლამობს, რომელსაც ტექსტში დამალული შინაარსის გაგებას შეუძლიათ, თუმცა ადამიანური ირონია მათთვის კვლავ დაფარული და ამოუხსნელი რჩება.

ყოველთვის აქვს საზღვარი. ჩინეთის ცენზორებმა შესაძლოა გააქროს მიუღებელი ვებგვერდები, პოსტები და ღიად გამოთქმული პოლიტიკური შეხედულებები, მაგრამ იგი ვერასდროს გააქრობს სურვილს - გამოხატოს საკუთარი აზრი, თავისუფლად და დაუბრკოლებლად. ისეთი უცხო და უცნაური ფრაზები, როგორიცაა: „მაისი“ ან „მდინარის კიბორჩხალა“, ჩინური ახალგაზრდობისათვის თავისუფლების ნავსაყუდელია. ეს არის ფენომენი, რომელიც მეტყველებს, რომ ენა ცოცხალი მექანიზმია, ორგანიზმი, რომელიც უმკაცრეს პირობებშიც კი ჰპოვებს გზას თვითგადარჩენისათვის. სახელმწიფო მართალია ცენზურას „იდეალურად ამუშავებს“ და ახალ ფილტრებს მატებს, თუმცა ადამიანური შემოქმედებითობა არ იკარგება, იგი ყოველთვის გამონახავს გზას სიმართლის საღაღადებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Li, D. and Zhang, X. (2017), Mythological fauna and linguistic resistance on the Chinese internet, *Journal of Chinese Sociolinguistics*, N4, Beijing, Peking University Press.
2. Link, P. (2002), The Anakin in the Chandelier: Censorship and self-censorship in China, *The New York Review of Books*, Vol. 49, N6, New York.
3. Meng, B. (2011), From Canonicity to Carnaval: Online political satire in China, *Global Media and Communication*, N7, London, Sage Publications.
4. Tai, Z. (2015), Digital metaphors and historical memory: The Tiananmen discourse on Weibo, *Asian Journal of Communication*, Vol. 25, N2, Singapore.
5. Wang, M. (2020), The Language of Netizens: Subculture and Internet Slang in Contemporary China, Shanghai, Shanghai Academy of Social Sciences Press.
6. Yang, G. (2014), The Power of the Internet in China: Citizen Activism in Digital Space, New York, Columbia University Press.

თეკლა სიხარულიძე
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

არავერბალური კომუნიკაცია და მისი როლი უცხო ენის შესწავლაში

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია არავერბალური კომუნიკაციის (სხეულის ენა, მიმიკა, ჟესტიკულაცია) როლი უცხო ენის შესწავლის პროცესში. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ კომუნიკაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ვერბალური საშუალებებით. არავერბალური სიგნალები გადამწყვეტ როლს ასრულებს როგორც ინფორმაციის გაგების გამარტივებაში, ისე კულტურათაშორისი ბარიერების დაძლევაში.

ნაშრომის პრაქტიკული ნაწილი ეფუძნება ემპირიულ კვლევას, რომელიც მიზნად ისახავს ქართულ და თურქულ საგანმანათლებლო სივრცეში არავერბალური კომუნიკაციის პრაქტიკების შედარებით ანალიზს. კვლევამ ცხადყო, რომ პედაგოგთა უმრავლესობა არავერბალურ ელემენტებს სწავლების აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევს, რაც ზრდის სტუდენტთა მოტივაციასა და ჩართულობას. თუმცა, ანალიზმა გამოკვეთა არსებული გამოწვევებიც: კულტურულ კონტექსტზე დამოკიდებული ჟესტების არასწორი ინტერპრეტაცია და სასწავლო პროგრამებში არავერბალური კომპეტენციის სისტემური სწავლების ნაკლებობა. საბოლოოდ, უცხო ენის ეფექტური სწავლება გულისხმობს არა მხოლოდ ვერბალური ინფორმაციის გადაცემას, არამედ არავერბალური სიგნალების ამოცნობისა და შესაბამის კონტექსტში ადეკვატურად გამოყენების უნარების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: არავერბალური კომუნიკაცია, სხეულის ენა, უცხო ენის სწავლება, პედაგოგიური მეთოდოლოგია.

თანამედროვე ლინგვისტიკაში კომუნიკაცია აღიქმება, როგორც კომპლექსური პროცესი, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ვერბალური საშუალებებით. ინფორმაციის გადაცემა ხშირად ხორციელდება არავერბალური კომუნიკაციის — ე.წ. „სხეულის ენის“ — მეშვეობით. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს არავერბალური კომუნიკაციის ფუნქციური დატვირთვა უცხო ენის შესწავლის პროცესში.

„არავერბალური კომუნიკაცია განისაზღვრება, როგორც ინფორმაციის გაცვლა სიტყვების გამოყენების გარეშე“.(Adeniran, 2025, გვ.8) იგი გულისხმობს ინდივიდის აზრების, ემოციებისა და განზრახვების გამოხატვას სახის გამომეტყველების, ჟესტების, მიმიკებისა და სხვა ფიზიკური მოძრაობების მეშვეობით. კვლევები ცხადყოფს, რომ არავერბალური ელემენტები ხშირად სიტყვიერ ინფორმაციაზე მეტ დატვირთვას ატარებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ვერბალურ კომუნიკაციასთან ერთად, ისე დამოუკიდებლად.

არავერბალური კომუნიკაცია ინფორმაციის გაცვლის კომპლექსური სისტემაა, რომელიც არ იყენებს სიტყვიერ კოდებს და ეყრდნობა სხეულის ენას, მიმიკასა და ჟესტიკულაციას. აღნიშნული კომუნიკაციური ფორმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ის ხშირად ავსებს, აზუსტებს ან აძლიერებს ვერბალურ გზავნილს, რითაც გვაწვდის დამატებით, ღირებულ ინფორმაციას საკომუნიკაციო სიტუაციის შესახებ.

ლინგვისტურ და ფსიქოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით, არავერბალური კომუნიკაციის ძირითადი სახეებია: მოძრაობა (კინესიკა):[1] „მოიცავს სხეულის სხვადასხვა ნაწილის მოძრაობის მანერას; სიარულის ტემპი, დგომის სპეციფიკა თუ ჟესტიკულაცია აუდიტორიისთვის განსხვავებული ემოციური გზავნილის მატარებელია“ (Uzaklan eğitim, 2026). დგომა და პოზა: „სხეულის მდებარეობა სივრცეში, რომელიც გამოხატავს პიროვნების კომფორტის დონეს, თავდაჯერებულობასა და დამოკიდებულებას საუბრის საგნის მიმართ. მაგალითად, მხრების მოდუნება ან ხელების პოზიცია შესაძლოა აღქმული იქნას როგორც დაღლილობის, დაძაბულობის ან ღიაობის ნიშანი“ (Uzaklan eğitim, 2026), პარაენა: „მეტყველების არალინგვისტური მახასიათებლები, როგორიცაა საუბრის ტემპი, ინტონაცია, ხმის ტონი და სიმაღლე“ (Uzaklan eğitim, 2026). სახის გამომეტყველება (მიმიკა): „არავერბალური კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელიც სახის კუნთების, თვალებისა და პირის მოძრაობით ემოციურ მდგომარეობას (მაგ. სიხარულს, შიშს, გაკვირვებას)

[1] კინესიკა - (ბერძნ. kinema – მოძრაობა), მეცნიერება, რომელიც შეისწავლის არავერბალური კომუნიკაციების ენას, პლასტიკის, მიმიკის და ჟესტის გრაფიკულ გამომსახველობას, მაყურებელზე მათი ზემოქმედების თავისებურებებს. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ენციკლოპედიური ლექსიკონი, „კინესიკა“.

მყისიერად გადმოსცემს“ (Uzaklan eğitim, 2026). თვალის კონტაქტი: „ყურადღებისა და ინტერესის გამოხატვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი. თვალის კონტაქტის არიდება ხშირად დისტანცირების ან ინტერესის ნაკლებობის მაჩვენებელია“ (Uzaklan eğitim, 2026). შეხება (ჰაპტიკა):[2] „კომუნიკაციის სპეციფიკური ფორმა, რომელიც გამოიყენება მხარდაჭერის, თანაგრძნობის ან სიახლოვის გამოსახატად და მოითხოვს მაღალ კულტურულ მგრძნობელობას“ (Uzaklan eğitim, 2026).

სხეულის ენა, არავერბალური კომუნიკაციის დომინანტური მექანიზმია სწორედ ამიტომ არ იქნება გასაკვირი რომ უფრო მეტი ყურადღება სხეულის ენაზე იყოს გამახვილებული. სხეულის ენა წარმოადგენს არავერბალური კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რომელიც აერთიანებს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ელემენტს: სახის გამომეტყველებას, ჟესტიკულაციას, პოზასა და სივრცულ მანძილს (პროქსემიკა).[3] „ისტორიული თვალსაზრისით, სხეულის ენა ადამიანთა კომუნიკაციის პირველადი საშუალებაა“ (Akçay, 2017:131). თანამედროვე კვლევები ადასტურებს, რომ პირისპირ კომუნიკაციის დროს ინფორმაციის მნიშვნელობის დაახლოებით 10% სიტყვიერად, 30% — ხმის ტონით, ხოლო 60% — მიმიკებისა და სხეულის მოძრაობების მეშვეობით აღიქმება. სხეულის ენა არა მხოლოდ აძლიერებს ვერბალურ გზავნილს, არამედ შესაძლებელს ხდის იმ შინაგანი განცდებისა და მდგომარეობების (შიში, შინაგანი ფიქრი, დაძაბულობა) ამოცნობას, რომელთა სიტყვიერად გამოხატვა ყოველთვის არ ხდება. შესაბამისად, აღნიშნული უნარი კომუნიკაციას უფრო ბუნებრივსა და ეფექტურს ხდის, ხოლო მიმღებისთვის აადვილებს შეტყობინების მნიშვნელობის სწორად გაგებას.

უცხო ენის სწავლებისას სხეულის ენა ორმხრივი პროცესია: იგი მოიცავს როგორც პედაგოგის არავერბალურ ქცევას, ისე მოსწავლის რეაქციების ამოცნობასა და ანალიზს. პედაგოგის ამოცანაა არა მხოლოდ არავერბალური ნიშნების ეფექტურად გამოყენება, არამედ მოსწავლის ქცევის სწორად გააზრება და სასწავლო პროცესის სათანადო კორექტირება. პედაგოგის არავერბალური ქცევა კლასში შესვლის მომენტიდანვე განსაზღვრავს სწავლების ატმოსფეროს. მნიშვნელოვანია, რომ ეს ქცევა იყოს ბუნებრივი, რადგან ხელოვნურობა სწრაფად იწვევს მოსწავლეთა ნდობის დაკარგვას.

ჰუსეინ გოჩმენლერის კვლევებზე დაყრდნობით, პედაგოგიურ პრაქტიკაში არავერბალური კომუნიკაციის მართვისას უმნიშვნელოვანესია შემდეგი პრინციპების გათვალისწინებაა: პოზა და თავდაჯერებულობა: ხელების

[2] ჰაპტიკა - შეხებითი (ტაქტილური) კომუნიკაციის შემსწავლელი მეცნიერება. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ენციკლოპედიური ლექსიკონი, „ჰაპტიკა“.
[3] პროქსემიკა - (ლათ. proxsimus – ახლომდებარე), სივრცითი კომუნიკაციების, დისტანციების წარმოშობის შემსწავლელი მეცნიერება. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ენციკლოპედიური ლექსიკონი, „პროქსემიკა“.

გადაჯვარედინება (დახურული პოზა) ხშირად აღიქმება როგორც თავდაცვითი ან საეჭვო პოზა, რაც აფერხებს კომუნიკაციას. პედაგოგისთვის რეკომენდებულია ღია პოზის შენარჩუნება — სწორი დგომა, პარალელური მხრები და გულმკერდის ბუნებრივი მდებარეობა, რაც თავდაჯერებულობისა და მზაობის ნიშანია.

აქტიური მოსმენა: საუკეთესო მოსმენის პოზიცია გულისხმობს მოსწავლისკენ მიმართულ სხეულს, ოდნავ წინ გადახრასა და კეთილგანწყობილ მიმიკას. ეს მოსწავლეს უჩვენებს, რომ იგი გაგებულია და წაახალისებს თვითგამოხატვას.

დინამიურობა: გაკვეთილის ფეხზე მდგომი წარმართვა ხელს უწყობს მოსწავლეთა ყურადღების შენარჩუნებას, ხოლო აქტიური ჟესტიკულაცია ემოციურ მუხტს მატებს თემის ახსნას, რაც სწავლის პროცესს უფრო მდგრადს ხდის.

თვალის კონტაქტი და მზერა: თვალის კონტაქტი ჩართულობის აუცილებელი პირობაა. თუმცა, იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა კომუნიკაციის დინამიკის მართვა (მაგ. საუბრის გახანგრძლივების თავიდან არიდება), მზერის მიმართულების შეცვლა ყველაზე ეფექტური არავერბალური ინსტრუმენტია.

პარაენა: ხმის ტონი სხეულის ენის განუყოფელი ნაწილია. ერთფეროვანი ან ზედმეტად ნელი ტონი იწვევს მოსწავლეთა ინტერესის შემცირებას და ზრდის მათ დაძაბულობას.

ამგვარად, პედაგოგი მუდმივად იმყოფება კომუნიკაციურ პროცესში, სადაც მისი იმიჯი და არავერბალური სიგნალები პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ათვისების ხარისხზე.

ჰუსეინ გოჩმენლერის კვლევა ნათლად აჩვენებს სხეულის ენის კრიტიკულ როლს უცხო ენის ათვისებაში. საინტერესოა, როგორ აისახება ეს პრინციპები თანამედროვე პედაგოგიურ პრაქტიკაში. სწორედ ამ კითხვის პასუხად, ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომელიც იკვლევს პედაგოგთა დამოკიდებულებას არავერბალური კომპეტენციების მიმართ.

კვლევისას გამოყენებული იქნა სხვადასხვა მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ და თვისებრივ მიდგომებს. მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენდა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც შედგებოდა როგორც დახურული (დიახ/არა ტიპის), ისე ღია ტიპის კითხვებისგან. აღნიშნული მიდგომა პედაგოგებს საშუალებას აძლევდა, არა მხოლოდ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია, არამედ გაეზიარებინათ საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და კონკრეტული მაგალითები.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო თურქოლოგიისა და ლინგვისტიკის მიმართულების 29 დარგის როგორც ქართველმა, ისე თურქმა სპეციალისტმა და პედაგოგმა. შერჩევის მიზნობრივი ხასიათი უზრუნველყოფს მონაცემთა სანდოობასა და შედეგების რელევანტურობას. მიღებული პასუხები ექვემდებარება შედარებით ანალიზს, სადაც მონაცემთა დამუშავებისას მთავარი აქცენტი გაკეთებულია იმაზე, თუ სად იკვეთება „კულტურული ჰარმონია“ და სად წარმოიქმნება „სემანტიკური დისონანსი“ ქართულ და თურქულ კულტურულ სისტემებს შორის.

კითხვარის პასუხების შესწავლისას გამოჩნდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის სხეულის ენის გამოყენება გაკვეთილზე. ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ პედაგოგების რეალურ ისტორიებს. ჩვენ განვიხილეთ შემთხვევები, როდესაც მასწავლებლის მიერ სხეულის ენის გამოყენებამ გაკვეთილი უფრო გასაგები და საინტერესო გახადა, ან პირიქით — როდესაც კულტურული განსხვავებების გამო, ერთი და იმავე ჟესტი ორივე მხარისთვის გაუგებარი აღმოჩნდა.

გამოვლინდა მკაფიო კონსენსუსი პედაგოგთა შორის, არავერბალური კომუნიკაცია უცხო ენის ათვისების პროცესში არ არის მხოლოდ „დამხმარე“ ინსტრუმენტი, არამედ კომუნიკაციის ფუნდამენტური ნაწილია.

პედაგოგები ერთხმად აღიარებენ, რომ ჟესტებისა და მიმიკის არასწორმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა გამოიწვიოს კომუნიკაციური ჩავარდნა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც თურქულ კულტურაში გავრცელებული „ნწ“-ს ბგერა და წარბების მოძრაობა ქართველმა მსმენელმა დადებით პასუხად აღიქვა, რაც საფუძვლად დაედო სერიოზულ გაუგებრობას. თურქი სპეციალისტები ხაზს უსვამენ, რომ სხეულის ენა არის „ინფორმაციული ხიდი“, რომელიც აუცილებელია კულტურული კოდების გასაშიფრად.

კითხვარის ანალიზმა აჩვენა, რომ პედაგოგები, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტებში სპეციალური კურსები შეზღუდულია, აქტიურად იყენებენ შემოქმედებით მეთოდებს. აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდები ხშირად ინტუიციურია და დაფუძნებულია თითოეული პედაგოგის ინდივიდუალურ გამოცდილებაზე, ვინაიდან დარგში კვლავ იგრძნობა აკადემიური პროგრამების დეფიციტი. რესპონდენტები გამოყოფენ როლურ თამაშებს[4] და ვიზუალურ ანალიზს (სერიალები, ფილმები).

[4] როლური თამაშები - როლური თამაში არის სასწავლო დანიშნულების თამაში, რომელიც მიმართულია რომელიმე უნარ-ჩვევის განვითარებაზე, გარკვეული შინაარსის მონაწილეების თვალთახედვიდან განხილვაზე, სტერეოტიპული აზროვნების დაძლევაზე და სხვ.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მეთოდი, რომელიც პედაგოგებმა გამოკვეთეს, არის „სარკული ასახვა“ (aynalama/mirroring) — როდესაც სტუდენტი ენის მატარებლის ჟესტებს ემოციურ კონტექსტთან ერთად იმეორებს, რაც ხელს უწყობს ენობრივი და კულტურული ბარიერების დაძლევას.

კვლევის მონაწილეთა კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მიზნით, გამოკითხვა ჩატარდა სრულიად ანონიმურ რეჟიმში. მოპოვებული ინფორმაცია გამოყენებულია მხოლოდ ანალიტიკური მიზნებისთვის, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სანდოობას.

ენის სწავლებისას არავერბალური კომუნიკაცია არ არის მხოლოდ დამატებითი ელემენტი, არამედ იგი ასრულებს ფუნდამენტურ როლს როგორც ინფორმაციის გაგების გაუმჯობესების, ისე კომუნიკაციური სირთულეების დაძლევის (კომპენსაციის) პროცესში.

არავერბალური სიგნალები ეხმარება მოსწავლეებს უცნობი სიტყვებისა და ფრაზების მნიშვნელობის ამოცნობაში. მაგალითად, მასწავლებლის ჟესტები ან მიმიკა ხშირად განმარტავს ახალ ლექსიკას, რადგან ისინი ემოციური განცდების ობიექტურ განსახიერებას წარმოადგენენ და მოსწავლეებს ბევრად უადვილდებათ სიახლის გაგება. იმის გამო რომ ენის შემსწავლელებს ხშირად არ ჰყოფნით სიტყვები საკუთარი აზრის სრულად გადმოსაცემად სწორედ მაშინ ისინი მიმართავენ ჟესტებსა და სხეულის ენას, რაც კომუნიკაციას ეფექტურს ხდის. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შემიძლია მოვიყვანო პრაქტიკული მაგალითი სასწავლო პროცესიდან, რომელიც მე გადამხდა. ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩვენი მასწავლებელი გვიხსნიდა გრამატიკულ თემას ომონიმების შესახებ. როდესაც სიტყვა თვალზე მიდგა საუბარი, კარგად მახსოვს ხელების საშუალებით როგორ გვიხსნიდა, რომ თვალს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. (თვალი როგორც მხედველობის ორგანო, თვალი როგორც ძვირფასი ქვა, ურმის თვალი). შესაძლოა აღნიშნული საკითხი ბევრისთვის არაფრის მთქმელი ყოფილიყო, მაგრამ ჩემზე საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და წლების შემდგომაც არ მავიწყდება. მნიშვნელოვანია რომ არავერბალური სიგნალები ზომის ფარგლებში იყოს გამოყენებული და სრული სიზუსტით. არის ხოლმე შემთხვევები, რომ მასწავლებლები ზედმეტად ეყრდნობიან ჟესტებს ან მათ კონტექსტს მიღმა იყენებენ. ამ ყველაფერს შესაძლოა მოსწავლეებისაგან მოჰყვეს კომიკური ან არასწორი შთაბეჭდილება, შესაძლოა გამოიწვიოს კომუნიკაციის გაუფასურება, ანდაც კონცენტრაციისა და ყურადღების გადატანა ძირითადი თემიდან.

არავერბალური კომუნიკაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურასთანაც. ერთი და იგივე ჟესტი სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულ

მნიშვნელობას ატარებს, ამიტომ მისი ცოდნა ხელს უწყობს კულტურულ ადაპტაციას და თავიდან გვარიდებს გაუგებრობებს.

სასწავლო პროცესში არავერბალური ელემენტების გამოყენება ზრდის სტუდენტების ინტერესსა და აქტიურობას. მასწავლებელს შეუძლია შეიმუშაოს როლური თამაშები, დიალოგები, ან ვიდეომასალის ანალიზი, რაც სწავლების პროცესს ბუნებრივს გახდის. აღნიშნული მეთოდები ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება სწავლის ხარისხზე.

მიუხედავად იმისა, რომ არავერბალური ელემენტები სასწავლო პროცესს აცოცხლებს, მათი ინტეგრაცია გამოწვევებთანაც არის დაკავშირებული. პირველი და უმთავრესი გამოწვევა კულტურული ფაქტორია — კერძოდ, ჟესტების არასწორი ინტერპრეტაციის რისკი. კულტურული სიგნალები მკაცრად არის დაკავშირებული კულტურულ კონტექსტთან. ერთი და იგივე ჟესტი სხვადასხვა კულტურაში შესაძლოა სრულიად განსხვავებულ ან წინააღმდეგობრივ მნიშვნელობას ატარებდეს.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ, განვიხილოთ რამდენიმე საერთაშორისო ჟესტი, რომლებიც კულტურული კონტექსტის მიხედვით რადიკალურად განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს.

ჟესტ „OK“-ს ინტერპრეტაცია სხვადასხვა კულტურაში.

ჟესტი	კულტურა	მნიშვნელობა
„OK“ ნიშანი	დასავლეთის ქვეყნების უმეტესობა	ყველაფერი რიგზეა
„OK“ ნიშანი	იაპონია	ფული
„OK“ ნიშანი	საფრანგეთი	ნული (0)
„OK“ ნიშანი	თურქეთი	წყევლა / გინება
„OK“ ნიშანი	ბრაზილია	წყევლა / გინება

ჟესტ „ცერა თითის“ ინტერპრეტაცია სხვადასხვა კულტურაში.

ჟესტი	კულტურა	მნიშვნელობა
„ცერა თითი“	თურქეთი	„სუპერი“, გემრიელი
„ცერა თითი“	საუდის არაბეთი	შენელება
„ცერა თითი“	კვიპროსელი თურქები	იდიომა: „შენი დღეც დადგება“
„ცერა თითი“	იტალია	გინება / საშინელი საჭმელი

უნდა გვახსოვდეს, რომ „ქმედება, რომელსაც ადამიანის კულტურაში ზოგადად მიღებული მნიშვნელობა აქვს, შესაძლოა სხვადასხვა ქვეყანაში ძალიან განსხვავებულად იქნას გაგებული და ნეგატიური რეაქციები გამოიწვიოს“(Doğan, 2023), ამიტომ სანამ რაიმე სიტყვას ანდაც ნიშანს გამოვიყენებთ წინასწარ უნდა ვიყოთ ინფორმირებულები.

აუცილებლად აღსანიშნია არავერბალური კომპეტენციის ნაკლებობა. უცხო ენის შემსწავლელები უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებენ ლექსიკასა და გრამატიკაზე, რის გამოც არავერბალური უნარები ნაკლებად განვითარებულია. აღნიშნული იწვევს არაბუნებრივ, მექანიკურ, გაზეპირებულ მეტყველებას, რეალურ სიტუაციებში დაბნეულობას.

არავერბალური კომუნიკაცია წარმოადგენს ადამიანთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს, რომელიც ინფორმაციის გადაცემისა და აღქმის პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს. უცხო ენის სწავლებაში მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია, რადგან ენის სრულფასოვანი ათვისება მხოლოდ გრამატიკული და ლექსიკური ერთეულების ცოდნით არ შემოიფარგლება.

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, არავერბალური ელემენტები — ჟესტები, მიმიკა და სხეულის ენა — მნიშვნელოვნად ამარტივებს სასწავლო მასალის გაგებას, ზრდის მოტივაციას და ამცირებს ენობრივ ბარიერებს. თუმცა, პროცესი მოითხოვს კულტურული კონტექსტის გათვალისწინებას, რადგან ჟესტების არასწორმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა გაუგებრობა გამოიწვიოს. შესაბამისად, არავერბალური კომპეტენციის განვითარება ენის შემსწავლელთათვის ისეთივე პრიორიტეტული უნდა გახდეს, როგორც ენობრივი უნარების დახვეწა.

აღნიშნული საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის, ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოავლინა პედაგოგთა და სტუდენტთა დამოკიდებულება არავერბალური სიგნალების მიმართ სასწავლო პროცესში. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ვერბალური და არავერბალური სიგნალების ჰარმონიული სინთეზი არის გასაღები იმისა, რომ ენის შესწავლა გახდეს ეფექტური, ბუნებრივი და ცოცხალი პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adeniran, R. (2025), Understanding Verbal And Non-Verbal Communication: Key Concepts, Differences And Cultural Influences, Fountain University.
2. Akçay, E. (2017), Külahıma Anlat - İş Dünyasında Ve Sosyal Hayatta Beden Dili Ve Yalan Avcılığı, Bireysel Yayınlar, İstanbul.
3. Doğan, S. (2023), Beden Dili Ne Düşündüğünü Görüyorum, Akademik Makale, Ankara.
4. Göçmenler, H. (2014), Beden Dilinin Yabancılara Türkçe Öğretimi Açısından Önemi, Hacettepe Üniversitesi Yabancı Dil Olarak Türkçe Araştırmaları Dergisi, N1, Ankara, Hacettepe Üniversitesi Yayınları.
5. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, (2026), ენციკლოპედიური ლექსიკონი (ელექტრონული რესურსი): https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%99%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90
6. Uzaklaneğitim.com, (2026), არავერბალური კომუნიკაციის კურსი (ელექტრონული რესურსი): https://uzaktanegitim.com/blog/sozsuz-iletisim-nedir